

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სისხლის სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამა



სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

**ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე სასამართლოს მიერ  
მტკიცებულებათა შეფასების თავისებურებანი**

ავტორი: ანა სიგუა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,

ირინა აქუბარდია

თბილისი

2019

# სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურა .....	2
შესავალი .....	3
<b>თავი I. ოჯახში ძალადობის არსი.....</b>	<b>5</b>
1.1 ოჯახში ძალადობის ცნება.....	5
1.2 პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობის მიმართ.....	6
1.2.1 ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობა.....	7
1.2.2 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.....	8
<b>თავი II. მტკიცებულებათა მოპოვება.....</b>	<b>10</b>
2.1 მტკიცებულებათა დაუყოვნებელ მოპოვების მნიშვნელობა.....	10
2.2 სავალდებულოდ ჩასატარებელი საგამომიებო მოქმედებები.....	11
2.2.1. მოწმეთა და დაზარალებულთა გამოკითხვა.....	12
2.2.2. ექსპერტიზების დანიშვნა .....	13
2.2.3. სხვა საგამომიებო მოქმედებები .....	14
<b>თავი III. არსებითი განხილვის ეტაპზე, მტკიცებულებათა გამოკვლევისას წარმოშობილი პრობლემები.....</b>	<b>15</b>
3.1 ჩვენების მიცემაზე უარის თქმა .....	15
3.2 მოწმეთა მიერ ცრუ ჩვენების მიცემა .....	18
<b>IV თავი. საერთო სასამართლოების არაერთგვაროვანი პრაქტიკა განაჩენის დადგენისას და მტკიცებულებათა შეფასებისას .....</b>	<b>20</b>
4.1 მოწმეთა ჩვენებების შეფასება.....	20
4.2 სამედიცინო და ფსიქოლოგიური ექსპერტიზის უპირობოდ გაზიარება .....	24
4.3 მტკიცებულებათა არასაკმარისობა, რომლებიც „განადგურდა“ არსებითი განხილვის ეტაპზე .....	27
4.4 მტკიცებულებათა განსხვავებულად შეფასების პრაქტიკა ოჯახში ძალადობის საქმეებზე.....	29
4.4.1 გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიები .....	30
4.4.2 ინდივიდუალური გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩამოყალიბებული არაერთგვაროვანი პრაქტიკა .....	30
<b>V თავი. დაზარალებულის უფლებების დაცვა ოჯახში ძალადობის საქმეებზე.....</b>	<b>37</b>
5.1 დაზარალებული უფლებების დაცვის საფრთხე, გამოწვეული არაერთგვაროვანი პრაქტიკის შედეგად .....	37
5.2 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიმართ .....	37
5.3. მეორადი და ხელახალი ვიქტიმიზაციის საფრთხე .....	39
<b>VI თავი. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ოჯახში ძალადობის საქმეებზე .....</b>	<b>42</b>
<b>დასკვნა.....</b>	<b>43</b>
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>45</b>

## გამოყენებული აბრევიატურა:

- სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი
- ასკ - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- ამკ - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი
- სტამბულის კონვენცია - ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (ე.წ.სტამბოლის კონვენცია).
- ევროპული კონვენცია - ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
- ევროპული სასამართლო- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
- თბ. - თბილისი
- ა.შ. - ასე შემდეგ
- გვ. - გვერდი
- იხ. - იხილეთ
- მაგ. - მაგალითად
- ე.ი. - ესე იგი
- წ. - წელი
- ქ. - ქალაქი
- ე.წ. - ეგრედ წოდებული

## შესავალი

განსახილველი ნაშრომი შეეხება სისხლის სამართლის პროცესში ოჯახში ძალადობის საქმეებზე სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების თავისებურებებს. კერძოდ, ნაშრომში საუბარია სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მტკიცებულებათა გამოკვლევისას წარმოშობილ პრობლემებზე, რომლებიც უმეტესწილად ზემოქმედებას ახდენენ საქმის საბოლოო შედეგზე. მოყვანილია პრაქტიკული მაგალითები, სადაც მოსამართლეები ერთგვაროვანი სახის მტკიცებულებათა შეფასებისას აფიქსირებენ საპირისპირო მოსაზრებებს, ხოლო არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ფონზე განხილულია ოჯახში ძალადობის დაზარალებულის უფლებების დაცვის საკითხი.

**კვლევის საგანი.** წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს შესავალში დასმული საკითხების თეორიული და პრაქტიკული ანალიზი. ასევე პრაქტიკაში არსებული იმ ხარვეზების წარმოჩენა და განხილვა, რომელიც უკავშირდება წინამდებარე საკითხებს. განხილული იქნება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მტკიცებულებათა შეფასების თავისებურებანი. ამასთან, წარმოდგენილი იქნება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები, სადაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებებთან მიმართებით მოცემულია იდენტურად სხვადასხვა სახის განმარტებები. მოხდება იმ საკითხის გარკვევა, თუ რამდენად ახდენს ზემოქმედებას გადაწყვეტილებათა მრავალფეროვნება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ინტერესების დაცვაზე.

**თემის აქტუალობა.** ოჯახში ძალადობის საქმეთა სიმრავლემ<sup>1</sup>, საერთო სასამართლოებში გამოიწვია გარკვეული მრავალფეროვნება განაჩენის დადგენისას და მტკიცებულებათა შეფასებისას. „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“.<sup>2</sup> ამასთან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე<sup>3</sup> არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ნორმის ის შინაარსი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ირიბი ჩვენების (მტკიცებულების) საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. აღნიშნული განმარტება ოჯახში ძალადობის საქმეებზე უპირობოდაა გაზიარებული თბილისის საქალაქო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში, რომელსაც ნაშრომში შევეხებით. ხოლო სასამართლოს შეფასების მიღმა რჩება ისეთი მტკიცებულებები, როგორცაა დაზარალებულის მიერ სსიპ 112-ის სამსახურში განხორციელებული სატელეფონო შეტყობინება დანაშაულის ჩადენის

<sup>1</sup>2018 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ ოჯახში ძალადობის 2347 საქმე იქნა განხილული განაჩენის გამოტანით. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის სტატისტიკა ოჯახში ძალადობის საქმეებზე, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ojaxuri-zaladoba.pdf>;

<sup>2</sup>საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი;

<sup>3</sup>იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის 1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ჯურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

შესახებ, ირიბ მოწმეთა ჩვენებები, გამოძიების დაწყებისთანავე შედგენილი შემაკავებელი ორდერის ოქმი, სადაც დაზარალებული აფიქსირებს მოძალადის მხრიდან ძალადობის განხორციელების ფაქტს და ითხოვს დამატებით „შემაკავებელი“ ღონისძიებების გატარებას მოძალადის მიმართ, ასევე ხშირად უგულებელყოფილია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, სადაც დაფიქსირებულია დაზარალებულის სხეულზე არსებული დაზიანებების არსებობა და მათი წარმომავლობა. ყოველივე აღნიშნული კი იძლევა ხშირ შემთხვევაში მოძალადის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას და პირი რჩება პასუხისმგებლობის მიღმა. ამდენად, მნიშვნელოვანია არის თუ არა საბოლოოდ მართლმსაჯულება და სისხლის სამართლის პროცესი დამოკიდებული „დაზარალებულის ნებაზე“ დასაჯოს თუ არა მოძალადე პირი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ხელმძღვანელობს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპით, მნიშვნელოვანია, რომ იმ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც შეეხება ოჯახში ძალადობის დანაშაულს, სასამართლომ მოახდინოს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება და ერთიანი პრეცედენტული მიდგომა.

მსხვერპლი<sup>4</sup>, რომელიც მიმართავს საგამოძიებო ორგანოს მისი უფლებების დასაცავად უნდა იყოს დარწმუნებული, რომ უფლებათა დაცვა განხორციელდება სამართალწარმოების ბოლომდე და არა მხოლოდ გამოძიების ეტაპზე. პროცესის მიმდინარეობა არ უნდა იყოს დამოკიდებული დაზარალებულის ნებაზე, ის უნდა მიმდინარეობდეს მისი ნებისგან დამოუკიდებლად ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით.

**კვლევის მეთოდი.** კვლევა ეფუძნება მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესწავლასა და ანალიზს. ამავე მეთოდით განალიზებულია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები. ნაშრომში გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები, მოძიებული ინფორმაცია კი ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით დამუშავდება.

**თემის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავლის, ექვსი ძირითადი თავისა და დასკვნისაგან, რომლებიც დაყოფილია ქვეთავებად და მათში განხილულია კონკრეტული საკითხები.

პირველი თავი მოიცავს ოთხ ქვეთავს, რომელიც ეხება ოჯახში ძალადობის არსის, ადმინისტრაციულ სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განხილვას.

მეორე თავი ეხება მტკიცებულებათა მოპოვებას და შედგება ხუთი საკითხისაგან, სადაც განხილულია ოჯახში ძალადობის საქმეებზე მტკიცებულებათა დაუყოვნებლივ მოპოვებისა და სავალდებულოდ ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებების მნიშვნელობა, ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა თავისებურებანი.

---

<sup>4</sup> იხ. განმარტება სტამბოლის კონვენციის მე-3 მუხლში, ასევე, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლში;

მესამე თავი შეიცავს ორ ქვეთავს და არსებითი განხილვის ეტაპზე, მტკიცებულებათა გამოკვლევისას წარმოშობილი პრობლემებია განხილული, რომლებიც დაკავშირებულია მოწმეთა მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმასა და ცრუ ჩვენების მიცემაზე.

მეოთხე თავი შედგება ექვსი ქვეთავისაგან და ეხება საერთო სასამართლოებში არაერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობას განაჩენის დადგომისას და მტკიცებულებათა შეფასებისას. კერძოდ, ამ თავში მოცემულია, სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე მოწმეთა ჩვენებების შეფასების, სამედიცინო და ფსიქოლოგიური ექსპერტიზის „უპირობოდ“ გაზიარების, ასევე მტკიცებულებათა განადგურების საკითხი. ამავე თავში მიმოხილულია გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიები და ინდივიდუალური გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩამოყალიბებული არაერთგვაროვანი პრაქტიკის ანალიზი.

მეხუთე თავში მოცემულია ოჯახში ძალადობის დაზარალებულთა უფლებების დაცვის მნიშვნელობა, რომელიც შედგება სამი ქვეთავისაგან, რომელიც ეხება არაერთგვაროვანი პრაქტიკის შედეგად დაზარალებულის უფლებების დაცვის საფრთხეს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნით, ასევე მეორადი და ხელახალი ვიქტიმიზაციის საფრთხეს.

მექვსე თავში მოცემულია სტატისტიკური ანალიზი ოჯახში ძალადობის საქმეებზე;

დასკვნაში მოცემულია, თუ რამდენად მოხდა ნაშრომში მიზანის რალიზება ძირითად ნაწილში და შეჯამებულია ნაშრომში დასმულ თითოეულ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით ძირითადი მოსაზრებები.

## თავი I. ოჯახში ძალადობის სარსი

### 1.1 ოჯახში ძალადობის ცნება

ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალაუფლებისა და კონტროლის დამყარების სურვილი. მოძალადე განზრახ მიმართავს ძალადობას, მსხვერპლზე გავლენის მოპოვების მიზნით. ხშირად, მოძალადე იღებს ზუსტ გადაწყვეტილებას თუ როდის, რა დოზით და სად გამოიყენოს ძალადობა. უმეტეს შემთხვევაში, ფიზიკურ ძალადობას წინ უძღვის მსხვერპლის დამცირება და დაშინება. ძალადობის შედეგად მოპოვებული კონტროლი კი გამოიხატება მსხვერპლის თავისუფალი ნების გამოვლინების შეზღუდვაში, ოზოლაციასა და მანიპულაციაში.<sup>5</sup>

საერთაშორისო განმარტება, რომელიც შეეხება ასევე ოჯახში ძალადობას მოცემულია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც „ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც

<sup>5</sup>Preventing da Combating domestic violence against women, a learning resource for training law enforcement da justice officers, Council of Europe,2016; გვ5;

ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.

„საკითხი ოჯახში ძალადობის შესახებ - რომელსაც შესაძლოა სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს, დაწყებული ფიზიკურიდან, დამთავრებული ფსიქოლოგიურ თუ სიტყვიერ ძალადობამდე... წარმოდგენს ზოგად პრობლემას, რომელიც ეხება ყველა წევრ სახელმწიფოს და რომელიც ხშირად არ საჯაროვდება, რადგან ილუქება პირად ურთიერთობებში ან დახურულ წრეებში და ვრცელდება არამხოლოდ ქალებზე. სასამართლო იაზრებს, რომ კაცებიც შესაძლოა იყვნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი და ბავშვებიც ხშირად წარმოადგენენ მოცემული დანაშაულის მსხვერპლებს, იქნება ეს პირდაპირ თუ არაპირდაპირ. ...“<sup>6</sup>

საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-3 მუხლში განმარტავს ოჯახში ძალადობის ცნებას, რომლის მიხედვითაც ოჯახში ძალადობა გულისხმობს- ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 1331, 133 2, 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144<sup>3</sup>, 149-ე-151<sup>1</sup>, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255<sup>1</sup>, 3811 და 381<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. საქართველოს სსკ-ში კი სპეციალური მუხლი, რომელიც შეეხება ოჯახში ძალადობას გახლავთ 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ე.ი. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

საგულისხმოა, რომ მსხვერპლის დაცვის მიზნით ოჯახში ძალადობად განიხილება ყოფილ მეუღლეებს შორის მომხდარი კონფლიქტიც, ეს საკითხი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ოჯახში ძალადობას აქვს განგრძობადი ხასიათი და პირი განქორწინების შემდგომაც შეიძლება მოექცეს ყოფილი მეუღლის ძალადობის ქვეშ.

## 1.2 პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობის მიმართ

საქართველოს მთავრობისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ბოლო წლებში გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით. შეიქმნა და დაიხვეწა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ

<sup>6</sup> ევოპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ, 2009 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, §132;

ბრძოლა კომპლექსურ მიდგომას და უწყებათაშორის აქტიურ კოორდინაციას საჭიროებს.<sup>7</sup>

ეროვნული, ასევე საერთაშორისო ინსტრუმენტები ოჯახში ძალადობის საქმეების მიმართ აწესებს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე წინამდებარე ნაშრომში შევხებით ადმინისტრაციულ სამართლებრივ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მოძალადე პირთა მიმართ, რომლებიც გამოიყენება მსხვერპლის უსაფრთხოებისა და მისი ინტერესების დასაცავად. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს შესაბამისი კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, რათა შესაძლებელი იყო მსხვერპლის მოძალადისგან სათანადო დაცვა.

### 1.2.1 ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობა

ბოლო წლებში, ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამკაცრებულმა სახელმწიფო პოლიტიკამ გარკვეული ცვლილებები მოახდინა ოჯახში ძალადობისათვის დაწესებულ პასუხისმგებლობაზე. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2018 წლის 30 ნოემბერს განხორციელებულმა ცვლილებამ სხვაგვარად ჩამოაყალიბა საქართველოს ასკ-ის 175<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა და კოდექსიდან ამოღებულ იქნა თავად ამავე მუხლის სახელწოდება „შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა. არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა“ და მას ეწოდა „არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა“. ასევე, ამოღებულ იქნა ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა „შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა“, ასევე ამოღებულ იქნა ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევა „დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა“. ამდენად, აღნიშნული მუხლის მოქმედება აღარ ვრცელდება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, ვინაიდან შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერის დარღვევა დღეის მდგომარეობით გახლავთ დანაშაული და მის დასჯადობას აწესრიგებს საქართველოს სსკ-ის 381<sup>1</sup> მუხლი.<sup>8</sup>

ოჯახში ძალადობის აღკვეთის მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც გამოიყენება სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მიერ გახლავთ სწორედ შემაკავებელი ორდერი. „საქართველოს პოლიციის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლში, რომელშიც გაწერილია პოლიციის უფლებამოსილებანი, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერპლის დაცვისა

<sup>7</sup>შენგელია ს., ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, გვ. 38;

<sup>8</sup> საქართველოს 2018 წლის 30 ნოემბრის კანონი №3772 - ვებგვერდი. 14.12.2018 წ.



და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად: დროებითი ღონისძიების სახით გამოსცემს შემაკავებელ ორდერს ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერს; ზედამხედველობს გამოცემული დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულებას”.

საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-10 მუხლის პირველ ნაწილში განმარტავს, რომ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში კი განმარტავს, რომ „დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერა დმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. ხოლო მესამე ნაწილში აღნიშნავს, რომ „შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები“.

ამდენად, ადმინისტრაციული სამართლის მიხედვით ოჯახში ძალადობის საქმეებზე ხორციელდება პირველადი აუცილებელი ღონისძიებების გატარება მსხვერპლთა დაცვის მიზნით მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და შედარებით მსუბუქი ფორმით შესაძლებელია მხარეთა შორის კონფლიქტის მოგვარება.

### **1.2.2 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა**

ოჯახში ძალადობის საქმეებზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება და გამკაცრება არის უაღრესად მნიშვნელოვანი ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის. სპეციალური მუხლი, რომელიც აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ოჯახში ძალადობისათვის, გახლავთ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც გულისხმობს, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟს ან დამცირებას, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup> მუხლი უშუალოდ შეეხება ოჯახში ძალადობის საქმეებზე სპეციალური აღრიცხვის საკითხს.

საქართველოს სსკ-ის 381<sup>1</sup> მუხლში 2018 წლის 30 ნოემბერს განხორციელებული ცვლილების თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დაუყოვნებლივ დგება, როდესაც ხდება შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა. ამდენად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება მოძალადე პირის მხრიდან შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული

ნებისმიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, მიუხედავად იმისა, პირის ქმედება მიმართულია თუ არა ძალადობისაკენ.

მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეში, ბრალდებულ კ.ბ.-ს მიმართ 2019 წლის 7 იანვარს გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი, რომელსაც ყოფილი მეუღლის საცხოვრებელ სახლთან აეკრძალა 30 დღის ვადით მიახლოება. ორდერის გამოცემიდან ნახევარ საათში ის მიუახლოვდა მსხვერპლის საცხოვრებელ კორპუსს, რაც შემდგომში გახდა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და საქართველოს სსკ-ის 381<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი.<sup>9</sup>

სტამბოლის კონვენცია უშუალოდ მიუთითებს სახელმწიფოებს ყველა საჭირო საკანონმდებლო, ან სხვა ზომების გატარების შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების დასჯა ეფექტური, თანაზომიერი და პრევენციული სანქციების გამოყენებით. ასევე, სადაც შესაძლებელია სანქციები უნდა მოიცავდეს თავისუფლების აღკვეთას.<sup>10</sup> ამდენად, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის პარალელურად ყოველთვის განიხილება სასჯელის დანიშვნის საკითხი ოჯახში ძალადობის საქმეზე. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს არა მხოლოდ მოძალადის დამნაშავედ ცნობა, არამედ, მისთვის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა. 2018 წლის 30 ნოემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, გამკაცრდა სასჯელის ზომა 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 2 წლამდე.

სასჯელის დანიშვნა არის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისას. ეს არის კულმინაცია ყველა წინა პროცესის და ყველაზე კონკრეტული გზა იმის დემონსტრირებისთვის, რომ საზოგადოება არ იქნება ტოლერანტული ძალადობისა და მოძალადის დაუსჯელობის მიმართ. თუ მსხვერპლს არ მოეწონება დანიშნული სასჯელი, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის კვლავ ჩაერთოს მართლმსაჯულების პროცესში სხვა ფაქტის არსებობის შემთხვევაში.<sup>11</sup> ოჯახში ძალადობის ფაქტებზე, მოძალადე პირთა მიმართ ყოველ ჯერზე გამოტანილ უნდა იქნეს იმ სახისა და ზომის სასჯელი, რომელიც იქნება მისი ქცევის პროპორციული, თავიდან იქნება აცილებული ახალი დანაშაულის ჩადენა და დაზარალებულს გაუჩენს ნდობას პროცესის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების საკითხი თითქმის არასოდეს განიხილება და ამის მთავარი მოტივაცია, სწორედ ამ დანაშაულთა ბრძოლაა. საპროცესო შეთანხმების გაფორმება კი შესაძლოა იყოს ძალადობის მიმართ ტოლერანტობის მაჩვენებელი.<sup>12</sup>

<sup>9</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 13 მარტის №1/723-19 განაჩენი;

<sup>10</sup> სტამბოლის კონვენციის 45-ე მუხლი - სანქციები და ზომები;

<sup>11</sup> Preventing and Combating domestic violence against women, a learning resource for training law enforcement and justice officers, Council of Europe, 2016; გვ 66-67;

<sup>12</sup> Handbook on effective prosecution responses to violence against women and girls; UNODC, Vienna, 2014; გვ 88;

## თავი II. მტკიცებულებათა მოპოვება

### 2.1 მტკიცებულებათა დაუყოვნებელ მოპოვების მნიშვნელობა

ოჯახში ძალადობის საქმეებს გარკვეული სპეციფიურობა ახასიათებს და მტკიცებულებები, ძირითად შემთხვევაში, არ გამოირჩევიან სიმრავლით. გამომდინარე იქედან, რომ ოჯახში ძალადობა ხდება ვიწრო წრეში, დახურულ გარემოში, ოჯახში, რთულია მოძიებულ იქნეს მოწმეები ძალადობის ფაქტის დასადასტურებლად. ამასთან, მსხვერპლის მზაობა ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოსთან, მოყვეს მასზე განხორციელებული ძალადობის ფაქტის შესახებ და მიაწოდოს მოძალადის წინააღმდეგ მამხილებელი ინფორმაცია საკმაოდ მაღალია ძალადობის ფაქტის მოხდენისთანავე, როდესაც დაზარალებული უშუალოდ მიმართავს სამართალდამცავ ორგანოს. შესაბამისად, ნებისმიერი აუცილებელი მოქმედების დაყოვნებამ შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს სისხლის სამართლის საქმეს და ვეღარ მოხდეს საჭირო მტკიცებულებათა მოპოვება პირის პასუხისგებაში მისაცემად.

გამომძიების ოპერატიულად ჩატარება აუცილებელია როგორც ბრალდებულისა და დაზარალებულის კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, ასევე საქმის გარემოებების უფრო სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოკვლევისათვის.<sup>13</sup> მტკიცებულებების დაუყოვნებლივ მოპოვების მიზანი უნდა იყოს იყოს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება, დაზარალებულის უფლებების დაცვა და მოძალადე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაუყოვნებლივ განხორციელება. ამ საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *კონტროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ*<sup>14</sup> სადაც, განმაცხადებლის არასრულწლოვანი შვილები მისმა მეუღლემ მოკლა 2002 წლის 31 დეკემბერს. განმაცხადებელი დაობდა ევროპულ სასამართლოში, რომ პოლიციამ იცოდა მისი მეუღლისაგან მომდინარე ძალადობისა და მუქარის შესახებ, მიუხედავად ამისა, მათ არანაირი ზომა მიიღეს მისი შვილების დასაცავად. საგამომძიებო ორგანოს დაგვიანებულმა და არაჯეროვანმა რეაგირებამ, მოძალადე პირი მიიყვანა არასრულწლოვანების მკვლელობამდე. სასამართლომ ამ საქმეში აღნიშნავს, რომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს სახელმწიფოს, რომ არა მარტო თავი შეიკავოს განზრახ მკვლელობისაგან, არამედ გადადგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა დაიცვას მის იურისდიქციაში მყოფ ადამიანთა სიცოცხლე.<sup>15</sup> ოჯახში ძალადობას აქვს განგრძობადი ხასიათი და ყოველ მომდევნო ჯერზე ძალადობის ხარისხი შესაძლოა მივიდეს მკვლელობის განხორციელებამდე. ამიტომაც აუცილებელია, დროული რეაგირება, ძალადობის გამოაშკარავება და მოძალადე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს შესაძლოა ჰქონდეთ არადამაკმაყოფილებელი ან მტრული დამოკიდებულებაც კი სამართალწარმოების მიმართ, სისტემის მიმართ უნდობლობა და რწმენა იმისა, რომ სისტემა არ დაეხმარება

<sup>13</sup> აქუბარდია ი. , წინასწარი გამოძიების ჩატარების საერთო პირობები, სისხლის სამართლის პროცესი, მერიდიანი, 2002, გვ 254;

<sup>14</sup> *Kontrova v. Slovakia, No7510/04, 31/05/2017*;

<sup>15</sup> იქვე, პ.49;

მათ. ისინი შესაძლოა გრძნობდნენ, რომ მათ არ დაუჯერებენ ან მოეპყრობიან გულგრილად სამართალდამცავი უწყების თანამშრომლები. მსხვერპლებს შესაძლოა ეგონათ, სისხლის სამართლის სისტემა დამნაშავე პირის მიმართ არ იქნება სამართლიანი. ოჯახში ძალადობის საქმეებში, მსხვერპლის მიერ პოლიციის დაძახების განზრახვა უფრო მეტად შესაძლოა იყოს ძალადობის შეჩერება, ვიდრე მოძალადის პასუხისგებაში მიცემა. მსხვერპლს შესაძლოა ეშინოდეს მართლსაჯულების პროცესში მონაწილეობის, რომელიც გრძელდება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებიდან სასამართლოში ჩვენების მიცემამდე.<sup>16</sup> ამდენად, ოჯახში ძალადობის საქმეები, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია დაზარალებულის განწყობაზე, ითანამშრომლოს და მიიღოს მონაწილეობა საგამომიებო მოქმედებებში, სათანადოდ უნდა იქნეს დაფასებული სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან და დაუყოვნებლივ უნდა ჩართოს დაზარალებული შესაბამის საგამომიებო მოქმედებებში.

## 2.2 სავალდებულოდ ჩასატარებელი საგამომიებო მოქმედებები

გამომიების ეტაპზე ხორციელდება საქმის ფაქტობრივ გარემოებათა დეტალური, ყოველმხრივი და ამომწურავი გამოკვლევა. გამომიების სწორად და დეტალურად ჩატარება უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენას.<sup>17</sup> ყველა სისხლის სამართლის საქმე ინდივიდუალურია და მტკიცებულებათა მოპოვების აუცილებლობა და რიგითობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე. ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ უნდა იქნეს ყველა ის მტკიცებულება, რომელიც შემდგომ არსებითი განხილვის ეტაპზე გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა სტანდარტით დაადასტურებს პირის დამნაშავეობას.

დაზარალებულის და მოწმეების დაუყოვნებლივ გამოკითხვა აუცილებელია გამომიების მიერ, რადგან დანაშაულის ჩადენისთანავე მოწმეს კარგად ახსოვს საქმის ფაქტები, მისი ემოციური მდგომარეობაც არის საკმაოდ მაღალი, მას სურს საკუთარი უსაფრთხოების დაცვა და არანაირი შემწყნარებლობა არა აქვს მოძალადის მიმართ, შესაბამისად „ცხელ გულზე“ შეუძლია გამომიების წინაშე ისაუბროს დეტალურად და მოყვეს ყველა ძალადობის ფაქტი. მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის საქმეებზე ფიზიკური ძალადობისას დაუყოვნებლივ მოხდეს დაზარალებულის ექსპერტიზაზე გადაყვანა, ვინაიდან ფიზიკურმა დაზიანება შესაძლოა მალევე გაქრეს და აზრი დაეკარგოს პირის ექსპერტის წინაშე წარდგენას. ანალოგიურად ეხება საკითხი ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნას, როდესაც ექსპერტმა უნდა დაადგინოს დაზარალებულმა განიცადა თუ არა ტანჯვა მასზე სისეტამატურად განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფის შედეგად. ძალადობის განხორციელებისთანავე, როდესაც შემთხვევა ეხება ფიზიკურ დაზიანებას, არის ღამის საათები ან არასამუშაო დრო და ვერ ხდება პირის დროულად წარდგენა ექსპერტის წინაშე, შესაძლოა მოხდეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების

<sup>16</sup>Handbook on effective prosecution responses to violence against women and girls, United Nations Office on Drugs and Crime, p. 43

<sup>17</sup>აკუბარდია ი. , გამომიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, მერიდიანი, თბილისი 2017; გვ 19;

გამოძახება და ექიმის მიერ ფიზიკური მდგომარეობის აღწერა სამედიცინო შემოწმების ბარათში. შესაძლოა მოხდეს ფოტოსურათის გადაღება მსხვერპლის სხეულზე არსებულ დაზიანებაზე, რათა უფრო მეტად თვალსაჩინო იყოს არსებული დაზიანების პირვანდელი მდგომარეობა.

პოლიციის ოფიცრებს არსებითი როლი აქვთ სისხლის სამართლებრივი ქმედების შესახებ საჩივრების გამოძიებაში. მას ზოგადი ზედამხედველობით ასრულებენ - პროკურორის ან მოსამართლის უშუალო ხელმძღვანელობით თუ თვითონვე, ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე, სისხლის სამართლებრივი პროცესის საწყის ეტაპებზე მათი ჩართულობა მასშტაბურია. ამიტომ, შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, პოლიციის ოფიცრებს მინიჭებული აქვთ ფართო უფლებამოსილება - დაკითხონ ეჭვმიტანილები და მოწმეები, ჩაატარონ ჩხრეკები, უთვალთვალონ პირებს და ზოგადად, დაამაგრონ მტკიცებულებები. ამ უფლებამოსილებების დიდი ნაწილი გულისხმობს მნიშვნელოვან ჩარევას უფლებებში, განსაკუთრებით, ეჭვმიტანილის დაკავებისა და ნამდვილი მტკიცებულების მოძიების უფლებაში. თუმცა, ზოგჯერ პოლიციას ევალება, ჩაერიოს სხვათა უფლებების დასაცავად და თუ საამისოდ სათანადო ნაბიჯები არ გადაიდგმება, დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.<sup>18</sup>

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის პირველი მუხლი მესამე მუხლთან ერთობლიობაში სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებს, მათი იურისდიქციის ქვეშ უზრუნველყონ ინდივიდების დაცვა ყველა ფორმის არასათანადო მოპყრობისაგან, რომელიც აკრძალულია კონვენციის მე-3 მუხლით, მათ შორის როდესაც ასეთი მოპყრობა ხორციელდა კერძო პირების მიერ. სასამართლო აღიარებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაუცველობას და სახელმწიფოს აქტიური ჩართულობის საჭიროებას მათი დაცვის მიზნით. პოზიტიური ვალდებულებები, რომელიც ძირითადად მოიცავს ამ საკითხს, შედგება: (ა) ვალდებულება გაატაროს გონივრული ღონისძიებები საიმისოდ, რომ აღკვეთოს არასათანადო მოპყრობა, რომლის თაობაზეც სახელმწიფო ორგანოებმა იციან ან უნდა სცოდნოდათ და (ბ) პროცედურული ვალდებულება ჩაატარონ ეფექტური გამოძიება, როდესაც პირი აყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას არასათანადო მოპყრობის თაობაზე<sup>19</sup>.

ამდენად, სახელმწიფო ორგანოების ინფორმირებულობა ოჯახში ძალადობის დანაშაულის შესახებ წარმოშობს მთელ რიგ ვალდებულებებს: სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებას, მტკიცებულებების შეკრებას, მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვას და ა.შ.

### 2.2.1 მოწმეთა და დაზარალებულთა გამოკითხვა

დაზარალებულთა და მოწმეთა გამოკითხვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოქმედებაა, რომელიც განხორციელებულ უნდა იქნეს ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოძიებლის მიერ. გამოკითხვის პროცესში სრულად უნდა იქნეს მიღებული ის

<sup>18</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საპოლიციო მომსახურება, ჯიმ მერდოკი, რაღვ რომე, გვ 77;

<sup>19</sup>ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ბალსანი რუმინეთის წინააღმდეგ, განცხადი №49645/09, 27 მაისი 2017 წელი;

ინფორმაცია, რომელიც შემდგომში მხარეს დაეხმარება სხვა მტკიცებულებების მოპოვებაში და ბრალის დადასტურებაში. ოჯახში ძალადობის საქმეებს, განსაკუთრებული სპეციფიკა ახასიათებს, თუ კი დაუყოვნებლივ არ მოხდება მსხვერპლის გამოკითხვა, შესაძლოა მას გადაუაროს წყენამ მოძალადის მიმართ, გაიაზროს, რომ მისი ოჯახის წევრის თავისუფლებას შესაძლოა მიადგეს საფრთხე და თავი შეიკავოს ჩვენების მიცემისაგან.

ოჯახში ძალადობის საქმეებს მუდამ ახასიათებს გამოსაკითხ პირთა ვიწრო წრე. ხშირ შემთხვევაში ძალადობის ფაქტს შესაძლოა დაზარალებულის გარდა ვერავინ ადასტურებდეს.<sup>20</sup> „... ამ კატეგორიის საქმეებზე პირთა რიცხვითი რაოდენობის წინასწარი განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია. მართალია, აღნიშნული კრიმინალისტიკური პრობლემა თავს იჩენს სხვა სახის დანაშაულთა გამოძიებისას, მაგრამ ამ შემთხვევაში ის უფრო მწვავედ იგრძნობა“.<sup>21</sup>

2018 წლის 4 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებულ იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, მათ შორის დაემატა VIII<sup>1</sup> თავი „მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი“.<sup>22</sup> აღნიშნული თავის დამატება სსსკ-ში მიზნად ისახავს გამოძიების ეტაპზე მოწმისა და დაზარალებულისათვის კომფორტული გარემოს შექმნას. ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 58<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილი უშუალოდ განსაზღვრავს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საქმეში ჩართვის მიზანს, რომლის მიხედვითაც, *„მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საქმეში ჩართვის მიზანია მოწმისთვის და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი ვიქტიმიზაციისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა“*. ამდენად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს მოწმისა და დაზარალებულის ინტერესები, როგორც გამოძიების ასევე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე.

მოწმის გამოკითხვისას აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული ინფორმაცია, ძალადობის ხასიათის შესახებ, დანაშაულის ჩადენის ხერხის, დროის, ადგილისა და ვითარების შესახებ, ძალადობის ინტენსივობის შესახებ და მისი დამოკიდებულების თაობაზე, სადაც დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი - თუ რა ზიანი მიადგა მას ამა თუ იმ ქმედების განხორციელებისას.

## 2.2.2 ექსპერტიზის დანიშვნა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის არსებობის შემთხვევაში ექსპერტიზები, რომლებიც შესაძლოა დანიშნულ იქნეს დაზარალებულის მიმართ გახლავთ სამედიცინო და ფსიქოლოგიური ექსპერტიზა. სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა მნიშვნელოვანია

<sup>20</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი №1/3295-17;

<sup>21</sup>გაბრიჩიძე ნ. , საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლელობის გამოძიების მეთოდოლოგია, თბილისი, 2015, გვ. 240;

<sup>22</sup>საქართველოს 2018 წლის 4 მაისი კანონი №2270 - ვებგვერდი, 21.05.2018 წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4193064?publication=0#DOCUMENT:1>;

იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ექსპერტიზა განსაზღვრავს სწორედაც ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხს, აღწერს დაზიანების (დაზიანებების) ლოკალიზაციას.

ფსიქოლოგიური ექსპერტიზა - მხარის მიერ ინიშნება, როდესაც ბრალდების მხარეს სურს დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია ბრალდებულის (მომალადის) ქმედებამ მიაყენა თუ არა ტანჯვა დაზარალებულს (მსხვერპლს). როდესაც ხდება ერთი პირის მიმართ სისტემატური შეურაცხყოფა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილს თანახმად ამგვარი ქმედება უნდა იწვევდეს დაზარალებულის ფსიქიკურ ტანჯვას, რათა მოხდეს დანაშაულის ამ მუხლით კვალიფიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ „ფსიქიკური ტანჯვა“, როგორც „ფიზიკური ტკივილი“ აბსოლუტურად მსხვერპლის მიერ შესაფასებელი კატეგორიაა და არის მისი სუბიექტური აღქმა. მხარის მიერ აუცილებლად უნდა მოხდეს ამ სახის ექსპერტიზის დანიშვნა, რათა სპეციალური ცოდნის მქონე პირმაც (ექსპერტი) დაარწმუნოს შემდგომში სასამართლო დანაშაულებრივი ქმედების არსებობაში. როგორც სამედიცინო ექსპერტიზის, ასევე ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნაც უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, რათა ის ტრამვა რაც აქვს დაზარალებულს ასევე აჩვენოს ექსპერტსაც, რომელიც მოახდენს შემდგომ გარემოებების შეფასებას და შესაბამისი დასკვნის გაცემას - განიცადა, თუ არა მოძალადე პირის ქმედებით დაზარალებულმა ფსიქიკური ტანჯვა.

### 2.3 სხვა საგამომიებო მოქმედებები

ოჯახში ძალადობის საქმეთა სასამართლო განხილვის პრაქტიკით თვალსაჩინოა, რომ სასამართლოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხვა მტკიცებულებებს,<sup>23</sup> როდესაც დაზარალებულს არ სურს სასამართლოში მისცეს ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენება, რითაც მართლმსაჯულებას ხელიდან აცლის ყველაზე მნიშვნელოვან მტკიცებულებას მოძალადე პირის დასასჯელად. საქართველოს სსსკ გასაზღვრავს საგამომიებო მოქმედებების სახეს და აღწერს მათი ჩატარების გარკვეულ პროცედურებს, რის გამოც გამომიებლის მიერ მაქსიმალურად ამომწურავი უნდა იყოს ყველა შესაძლებელი საგამომიებო მოქმედების ჩატარება სისხლის სამართლის საქმეში. მათ შორის, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ქვემოთ მოცემული მოქმედებები:

- ბრალდების მხარის მიერ უნდა დათვალიერდეს შემთხვევის ადგილი, სადაც შესაძლოა კვლავ იყოს ძალადობის კვალი. შემთხვევის ადგილის დათვალიერება უნდა განხორციელდეს დაზარალებულის მონაწილეობით, რათა მან საგამომიებო მოქმედების მიმდინარეობისას დეტალურად აღწეროს თუ სად და როგორ განხორციელდა ძალადობის ფაქტი. ამ მტკიცებულების მოპოვება და მისი შინაარსობრივი მხარე, მოსამართლის წინაშე უფრო მეტად თვალსაჩინოს ხდის ძალადობის ფაქტს.

- ძირითად შემთხვევებში ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირები ძალადობის განხორციელებისთანავე სატელეფონო კომუნიკაციით უკავშირდებიან

<sup>23</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის განაჩენი №1/209-18; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 თებერვლის განაჩენი №1/4875-18;

საქართველოს შსს სსიპ 112-ის სამსახურს, სადაც ფიქსირებდა დანაშაულის შესახებ შეტყობინების აუდიოჩანაწერი, სადაც კარგად ჩანს დაზარალებულის პირველი ემოცია. შეტყობინების ავტორი მასზე ან მის ოჯახის წევრზე განხორციელებული ფაქტის მოკლე აღწერას ახდენს სწორედ ამ ფორმით. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი სამსახურიდან გამოთხოვილ იქნეს ეს ინფორმაცია და მტკიცებულების სახით დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, რათა სასამართლოში ცხადი გახდეს, თუ რა ინფორმაცია დააფიქსირა პირმა ძალადობის თაობაზე. მაგ., ბრალდებულ ვ.ი.-ს საქმეზე, მოსამართლემ ოჯახში ძალადობის ფაქტის დადასტურებისას ერთ-ერთ მტკიცებულებად სწორედ სსიპ 112-ის საინფორმაციო სამსახურში დაფიქსირებული შეტყობინების აუდიოჩანაწერი და მისი დათვალეობის ოქმი გამოიყენა.<sup>24</sup>

- წერილობით მტკიცებულებებს ასევე განსაკუთრებული როლი აქვთ მტკიცებულებათა ერთობლიობისას. მუქარის და ან სისტემატური შეურაცხყოფის შემთხვევაში, შესაძლოა დაზარალებულის მიერ წარმოდგენილ იქნეს მოკლეტექსტური შეტყობინებები, ან სოციალურ ქსელში არსებული მიმოწერები, სადაც ჩანს მოძალადე პირის დამოკიდებულება მსხვერპლის მიმართ. ამგვარი ინფორმაცია იმსახურებს განსაკუთრებულ ნდობას, ვინაიდან ნათლად წარმოაჩენს მოძალადის ქმედებას, მის მიერ სიტყვიერი შეურაცხყოფის განხორციელების ფორმას.

- მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში დაზარალებულის სხეულზე არსებულ დაზიანებებთან მიმართებით ხდება მისთვის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. დაზარალებულისათვის უნდა მოხდეს სასაწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ადგილზე გამოძახება და ექიმის მიერ დაზარალებულის ფიზიკური მდგომარეობის დაფიქსირება. ხშირად, შესაძლოა ძალადობამ არ გამოიწვიოს არანაირი დაზიანება, თუმცა მხოლოდ ტკივილის ან სხვა ფიზიკური ჩივილის დაფიქსირება შეუძლია სწორედ ექიმს, რომლის თაობაზეც ის ადგენს შესაბამის ბარათს. დაზარალებულის თანხმობით, სამედიცინო შემოწმების ბარათი აუცილებლად უნდა მოექცეს სისხლის სამართლის საქმის მასალებს შორის. მაგ., თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 ოქტომბრის განაჩენში, სადაც დაზარალებულმა სასამართლოს არ მისცა ბრალდებულის (მეუღლის) საწინააღმდეგო ჩვენება, სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, დაეყრდნო დაზარალებულის მიმართ სსიპ სასაწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ შედგენილ ბარათს, სადაც დაფიქსირებული იყო ძალადობის განმარტებული პირის ვინაობა.<sup>25</sup>

## **თავი III. არსებითი განხილვის ეტაპზე, მტკიცებულებათა გამოკვლევისას წარმოშობილი პრობლემები**

### **3.1 ჩვენების მიცემაზე უარის თქმა**

საპროცესო უფლებები გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 ნაწილში, რომლის მიხედვითაც „არავინ არის

<sup>24</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის №1/474-19 განაჩენი;

<sup>25</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 ოქტომბრის №1/3820-18 განაჩენი;



ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით.“ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე შესაძლოა მოხდეს მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევისას არაერთი სახეცვლილება. მათ შორის შეუძლებელი გახდეს მოწმის წარმოდგენა, ან დასაკითხი პირის მიერ მოხდეს „ჩვენების შეცვლა“, მოწმემ გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და უარი თქვას ჩვენების მიცემაზე.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახა, რომ ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს დაზარალებულები მათთვის გარანტირებული საპროცესო ფუნქციებით არ სარგებლობენ, ფაქტობრივად უკავიათ ბრალდებულის (განსასჯელის) პოზიციები, რაც არცთუ იშვიათ შემთხვევაში ქმედების არასწორ კვალიფიკაციასა და ლმობიერი განაჩენის დადგენას ემსახურება.<sup>26</sup>

ხშირ შემთხვევაში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს მხოლოდამხოლოდ მოწმეთა ჩვენებები წარმოადგენენ და ნივთიერი ან/და წერილობითი მტკიცებულების არ ქონის გამო სასამართლო განხილვის ეტაპზე ეჭვქვეშ დადგეს მტკიცებულებების როგორც სარწმუნოობის, ასევე დამაჯერებლობის ან „საკმარისობის“ საკითხი. შესაბამისად, ქვემოთ დეტალურადაა მოცემული იმ პრობლემათა ჩამონათვალი, რაც აბრკოლებს სისხლის სამართლის საქმეზე ძალადობის ფაქტის დადასტურებას.

ოჯახში ძალადობა ლატენტურ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება, ამ დანაშაულისათვის დამახასიათებელია ფაქტების გაუმჟღავნებლობა, დაფარვა, დამახინჯება, ჩვენების მიცემაზე უარი. ასევე, სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დაზარალებულები, რომლებიც გამოძიებაში ცხელ კვალზე გაცილებით მეტ ინფორმაციას გასცემენ ძალადობასთან დაკავშირებით. დროთა განმავლობაში კი ეგუებიან მომხდარ ძალადობას და სხვადასხვა ხერხით (საკუთარი ნებით, თუ ბრალდებულის ჩარევით) ცდილობენ ბრალდებულებს აარიდონ პასუხისმგებლობა.<sup>27</sup>

ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ყველაზე პრობლემატური საკითხია. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად „მოწმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს“. აღნიშნული უფლება მოწმეთა მხრიდან ყველა ხშირად გამოიყენება ოჯახში ძალადობის საქმეებზე, სადაც მათ სასამართლო პროცესის წინაშე უწევთ მათი ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კი „*მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება ბრალდებულის ახლო ნათესავს*“. ამავე კოდექსის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი „გამოსაკითხ პირს უფლებააქვს, საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, არ გასცეს ინფორმაცია საკუთარი თავის ან/და ახლო ნათესავის წინააღმდეგ. გამოკითხვის ჩამტარებელმა მხარემ გამოსაკითხ პირს ამ

<sup>26</sup>გაბრიჩიძე ნ. , საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლელობის გამოძიების მეთოდოლოგია, თბ., 2005, გვ 235;

<sup>27</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის №1/1159-18 განაჩენი;

უფლებების, აგრეთვე ამ კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების შესახებ განმარტება გამოკითხვის დაწყებამდე უნდა მისცეს“. ამდენად, საგამოძიებო ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საწყის ეტაპზე მოწმისათვის აღნიშნული უფლებით სარგებლობის განმარტება. სასამართლო განხილვის ეტაპზე, კი როდესაც ხდება მოწმის სასამართლოში დაკითხვა, ამავე სსსკ-ის 115-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო ადგენს მოწმის ვინაობას. სასამართლო ფიცის დადების შემდეგ მოწმეს განუმარტავს, რა უფლება-მოვალეობები აქვს მას, რა საქმეზეა იგი გამოძახებული, რომ იგი ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით, და აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე განუმარტავს, რომ იგი ვალდებული არ არის, მისცეს დანაშაულის ჩადენაში თავისი თავის ან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება“.

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი ახდენს ახლო ნათესავი განმარტებას. კერძოდ, ახლო ნათესავია – მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათშორის, განქორწინებული). ამდენად, კანონმდებელი აკეთებს იმ პირთა ჩამონათვალის განმარტებას, რომელმაც შესაძლოა ისარგებლოს კანონით მინიჭებული უფლებით, „ახლო ნათესავის“ წინააღმდეგ არ მისცეს ჩვენება და ოჯახის წევრი აღნიშნულით აარიდოს მოსალოდნელ პასუხისმგებლობას. დაზარალებულთა მხიდან, როდესაც ისინი წარსდგებიან სასამართლოში დასაკითხად, ჩვენების მიცემაზე უარის თქმისას, აღნიშნული უფლების გამოყენებას ხსნიან იმ გარემოებით, რომ გამოძიება დაიწყო მათი განცხადების საფუძველზე და ისინი საკუთარ თავს მოისაზრებენ დამნაშეველად, რადგან სწორედ მათი შეტყობინების საფუძველზე მოხდა გამოძიების დაწყება, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და ხშირ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებაც კი. ამდენად, აღნიშნული ქმედებით მათ სურთ არა მხოლოდ ბრალდებულისათვის არსებული მდგომარეობის შემსუბუქება, არამედ საკუთარი „შეცდომის“ გამოსწორება და ბრალდებულისათვის ბოდიშის მოხდა.

დაზარალებულს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მრავალი, მათ შორის, ლოგიკური საფუძველი შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, 1) შერიგების შესაძლებლობა, ხოლო ჩვენებამ კი, შესაძლებელია ცოლ-ქმრულ ურთიერთობას საფრთხე შეუქმნას; 2) შიში ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით; 3) ბავშვების კეთილდღეობაზე ფიქრი; 4) ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ზეწოლა, არ მისცეს ჩვენება; 5) კულტურული თუ რელიგიური შეხედულებები, რომლითაც დაგმობილია და ოჯახიდან განდევნას იწვევს მეუღლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა; 6) ძალადობის სისტემატურობიდან გამომდინარე, დაზარალებული მოწმის მიერ ძალადობის მსხვერპლად საკუთარი თავის აღქმის პრობლემა; 7) მარტოობის შიში, ბრალდებულის მიმართ გრძნობა ან ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო პროცესის შიში, ინფორმაციული ვაკუუმი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მეორეული ვიქტიმიზაცია.<sup>28</sup>

<sup>28</sup> ვეკუაძე მ. , ჯუღელი ნ. , ღვინჯილია ე. , საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №3(59), 2018, გვ 27;

ხშირ შემთხვევაში შესაძლოა დაზარალებულზე და ბრალდებულის ახლო ნათესავზე, რომლებიც საქმისათვის ძირითად მოწმეებს წარმოადგენენ სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემაზე განაცხადონ უარი, სწორედ მოძალადის პიროვნებიდან გამომდინარე, ვინაიდან მოწმისა და ბრალდებულის პირისპირ - ერთ სხდომის დარბაზში ყოფნა აფერხებს დაზარალებულისა/მოწმის თავისუფალი ნების გამოვლენას და ძალადობის ფაქტზე საჯაროდ საუბარს. ოჯახში ძალადობის საქმეებზე, სხდომის დარბაზში დაზარალებულის ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული ერთადერთი ნორმა, რომელიც მოცემულია საქართველოს სსსკ-ში გახლავთ მხოლოდ 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც ეხება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვას ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით. ეს დანაწესი პოზიტიურია იმდენად, რამდენადაც დახურულ სასამართლო სხდომზე, სადაც მხოლოდ მოსამართლე და მხარეები არიან წარმოდგენილი, შესაძლოა ერთი შეხედვით კომფორტული გარემო იყოს იმ დაზარალებულისათვის რომელსაც არ სურს საჯარო პროცესზე მის პირად ცხოვრებაზე საუბარი. თუმცა, კანონი არ არეგულირებს არსებითი განხილვის ეტაპზე სრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვას ბრალდებულისგან განცალკევებითა და მასთან ვიზუალური კონტაქტის გარეშე.

სხვაგვარადაა საკითხი არასრულწლოვან დაზარალებულთან/მოწმესთან მიმართებით, ვინაიდან ამკ-ის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, *არასრულწლოვანი მოწმის საუკეთესო ინტერესების დასაცავად მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, არასრულწლოვანი მოწმის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, ადვოკატის ან პროკურორის შუამდგომლობით გამოიტანოს განჩინება: ბრალდებულის დროებით სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ, თუ არასრულწლოვანი მოწმე უარს ამბობს ბრალდებულის თანდასწრებით ჩვენების მიცემაზე ან თუ არსებული გარემოებები ცხადყოფს, რომ შეიძლება არასრულწლოვანმა მოწმემ ბრალდებულის თანდასწრებით არ თქვას სიმართლე ან მოხდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია. ამ შემთხვევაში სავალდებულოა საქმის სასამართლოში განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა.* განსახილველი ნორმა, ბრალდების მხარეს და სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებზე დაიცვას არა მხოლოდ არასრულწლოვანი დაზარალებულის ინტერესი, არამედ არასრულწლოვანი მოწმის ინტერესი და სასამართლო სხდომის დარბაზში აარიდოს მოწმე ბრალდებულთან რაიმე სახის კომუნიკაციას. ცხადია ამ ნორმით უპირატესობა არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს ენიჭება, რის გამოც ბრალდებულს ეზღუდება მისი საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება. მიმაჩნია, რომ აღნიშნული დანაწესის ოჯახში ძალადობის სრულწლოვან დაზარალებულებთან მიმართებით გავრცელება იქნებოდა ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი, რითაც გაიზრდებოდა დაზარალებულთა მხრიდან სასამართლოში ჩვენების მიცემის ალბათობა.

### **3.2 მოწმეთა მიერ ცრუ ჩვენების მიცემა**

საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე ასევე არსებობს შეთხვევები, როდესაც დაზარალებულებმა ნაცვლად იმისა, რომ გამოიყენონ კანონით მათთვის მინიჭებული

უფლება და ახლო ნათესავის წინააღმდეგ არ მისცენ დანაშაულში მამხილებელი ჩვენება, პირიქით, მზაობას გამოთქვამენ ჩვენების მიცემაზე, დებენ ფიცს და აბსოლიტურად სხვაგვარად ასახვენ ძალადობის დღეს მომხდარ ფაქტებს. მაგალითად, როდესაც პირს ბრალად ედება ფიზიკური ძალადობის განხორციელება, შესაძლოა მოწმემ ჩვენებისას თქვას, რომ კონკრეტულ დღეს არანაირ ფიზიკური დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია, მას ბრალდებულთან მოუხდა მხოლოდამხოლოდ სიტყვიერი შელაპარაკება და უთანხმოებას თან არ ახლდა ფიზიკური ძალადობა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია იმ მოწმეთა ჩვენებების შეფასება, რომლებიც არიან ოჯახის წევრები ან მათი ახლო ნათესავები. დასაკითხი პირის ოჯახთან მჭიდრო კავშირი ხელს უწყობს არასწორ ჩვენებებს, რადგან მხარეები ცდილობენ არ „გააფუჭონ“ ურთიერთობა ბრალდებულთან ან ცდილობენ შეუმსუბუქონ მას ბრალი.<sup>29</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 19 დეკემბრის №1/2490-18 განაჩენის მიხედვით ს.ტ.-ს ბრალად ედებოდა მეუღლის მიმართ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა მეუღლის - ს.ტ.-ს მიმართ. მიუხედევად იმისა, რომ გამოძიების ეტაპზე შედგენილ გამოკითხვის ოქმებში დაზარალებული აფიქსირებდა მეუღლის მხრიდან განხორციელებული სისტემატური ძალადობის ფაქტს, მან სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას განაცხადა, რომ 2018 წლის აპრილის თვეში მეუღლეებს შორის კონფლიქტი საყოფაცხოვრებო ხასიათის იყო, რომელიც მხოლოდ სიტყვიერი კონფლიქტით შემოიფარგლა. კონფლიქტის დროს მეუღლეებს შორის არ ყოფილა ფიზიკური ძალადობა.<sup>30</sup> მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ საქმეში ძალადობის ფაქტის უარყოფა განხორციელდა არა მხოლოდ მეუღლის (დაზარალებული) მხრიდან, არამედ საქმეში არსებული სხვა მოწმეების მხრიდანაც. შესაბამისად, ბრალდებული გამართლდა სწორედ იმ საფუძველით, რომ სასამართლომ გაიზიარა დაზარალებულის და მოწმეთა მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება. საქმის ამგვარი შედეგი დასაინანია იმ ფონზე, როდესაც პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და ხშირ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ხდება სწორედ დაზარალებულისა და მოწმეთა გამოძიების ეტაპზე მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე კი დაუსაბუთებელი ხდება ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა და ძალადობის მსხვერპლის ინტერესების დაცვა იქნეს მხოლოდამხოლოდ დროებით ხასიათს.

სასამართლო განხილვის პროცესში წამოჭრილი ერთ-ერთი სიმძნელე, რომელიც ართულებს ძალადობის ფაქტის დამტკიცებას და მოძალადის მსჯავრდებას გახლავთ გარემოება, როდესაც დაზარალებული ადასტურებს მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტს, თუმცა აღნიშნავს, რომ ფიზიკური ტკივილი არ განუცდია.<sup>31</sup>

<sup>29</sup>გაბრიჩიძე ნ. , საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლელობის გამოძიების მეთოდოლოგია, თბილისი, 2005, გვ 242;

<sup>30</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 19 დეკემბრის №1/2490-18 განაჩენი; გვ3;

<sup>31</sup>კოჭლამაზაშვილი ბ. , ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №2, თბ., 2017 გვ 50;

ასევე, შესაძლოა დაზარალებულმა და მოწმეებმა არც კი დააფიქსირონ მომხდარი ფაქტი და განაცხადონ, რომ მოძალადესთან აქვს „იდეალური“ ურთიერთობა და ახსნაც ვერ მოუძებნონ თუ რატომ მიმართეს პოლიციის დაწესებულებას დახმარების მიზნით. მნიშვნელოვანია მესამე ფაქტორიც, როდესაც დაზარალებული აღწერს ფიზიკური ძალადობის ფაქტს თუმცა უარყოფს, რომ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

განსახილველ საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განაჩენი, რომლის თანახმადაც ნ.გ.-ს ბრალად ედებოდა დედის მიმართ განხორციელებული ძალადობა, საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. საქმის განხილვისას დაზარალებულმა არ დაადასტურა გამოძიებაში მიცემული ჩვენება და განმარტა, რომ 2018 წლის 22 თებერვალს, შვილმა - ნ.გ.-მ მიაყენა მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფა ჯიხურის უნებრათვოდ გასხვისების გამო. სიტყვიერი კონფლიქტის დროს, გაბრაზებულმა ნ.გ.-მ წყლით სავსე პლასტმასის ბოთლი ძირს დააგდო, რაც აისხლიტა იატაკმა და დაზარალებულს მოხვდა მუხლში. დაზარალებულმა უარყო გამოძიების ეტაპზე გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებული ფაქტი, რომ წყლით სავსე ბოთლი მისი მიმართულებით ისროლა მისმა ვაჟმა, რომელიც მას მოხვდა ფეხზე. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ გაიზიარა დაზარალებულის გამოკითხვის ოქმი, სადაც ის აფიქსირებდა ძალადობის ფაქტს. ხოლო დაზარალებულის ჩვენება, შეაფასა, როგორც „მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის მცდელობა“.<sup>32</sup> ამდენად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ძალადობის ფაქტი და ბრალდებულის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

## თავი IV. საერთო სასამართლოების არაერთგვაროვანი პრაქტიკა განაჩენის დადგენისას და მტკიცებულებათაშე ეფასებისას

### 4.1 მოწმეთა ჩვენებების შეფასება

სასამართლოს მიერ მოწმეთა ჩვენებების შეფასება უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. ცხადია, მოწმეა ის პირი, რომელმაც სიტყვიერად უნდა დაადასტუროს სასამართლოს წინაშე საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სისხლის სამართლის პროცესში მოწმის ჩვენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებების შეჯამებისას და პირის დამნაშავედ ცნობის დასადგენად. მოწმის კეთილსინდისიერება სასამართლოში გამოცხადებისას მოწმდება მის მიერ დადებული ფიცით, მიცემული ჩვენების თანმიმდევრული თხრობითა და დამაჯერებლობით, ფაქტების ზუსტი აღწერილობით და ინფორმაციის ერთმანეთთან თანხვედრის განსაზღვრით და ა.შ. ასევე, მოსამართლეს განსაკუთრებული როლი აკისრია მტკიცებულებათა შეფასებისას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იძლევა მტკიცებულებების იერარქიას მათი უპირატესი ძალის მიხედვით. მოწმის ჩვენება

<sup>32</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის №1/1159-18 განაჩენი;

მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა, თუმცა არ არსებობს სისხლის სამართლის საქმე, სადაც სახელმწიფო ბრალდებას პირის ბრალეული ქმედების დასადასტურებლად ერთ-ერთ მტკიცებულებად მოწმის ჩვენება არ ჰქონდეს მოპოვებული.<sup>33</sup>

ოჯახში ძალადობის საქმეებზე მოწმეთა ჩვენებებს, როგორც ავლნიშნეთ ახასიათებს ცვალებადობა. პირის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით მისი ოჯახის წევრები ცდილობენ გამოიჩინონ ბრალდებულის მიმართ მიკერძოება და დამალონ, ან არასწორად მოყვნიენ სასამართლოს წინაშე არათუ ძალადობის ერთჯერადად განხორციელების ფაქტი, არამედ ბრალდებულისაგან წლების განმავლობაში მომდინარე ძალადობა.

საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილის თანახმად, მოწმის ჩვენებაა მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. მიცემული ნორმიდან გამომდინარე, შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის მიერ უნდა მოხდეს მხოლოდ სასამართლოს წინაშე მიცემული ჩვენების გაზიარება და შეფასების მიღმა უნდა დარჩეს გამოძიების ეტაპზე მოწმის გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებული ინფორმაცია.

მტკიცებულებების უტყუარობის<sup>34</sup> ჭრილში განხილვისას, გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებულ ინფორმაციასა და სასამართლოში მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებას შორის, ერთი შეხედვით, უფრო სანდო და სარწმუნო შესაძლოა უპირობოდ იყოს მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება. ამ მოსაზრებას აქვს შემდეგი არგუმენტები: სასამართლოში პირი იკითხება მოსამართლის წინაშე, სადაც მონაწილეობას იღებს როგორც ბრალდება, ასევე დაცვა და ორივე მხარეს თანაბრად შეუძლია ჩაერთოს მოწმის დაკითხვის პროცესში, მხარეებს შეუძლიათ მოწმესთან დააზუსტონ ფაქტები და მიიღონ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ორივე მხარე აკონტროლებს ერთმანეთის შეკითხვებს, უსმენენ მოწმის პასუხს და აქვთ კითხვის განრიდების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება, სასამართლოში მოწმე არის დაცული და მის ჩვენებაზე ზემოქმედება არის შეუძლებელი. გამოძიების ეტაპზე შედგენილ გამოკითხვის ოქმს კი ამგვარი „კონტროლი“ არ ახასიათებს, რადგანაც მოწმე გამოიკითხება გამომძიებლის წინაშე და მხოლოდ მას აწვდის ინფორმაციას მომხდარი ფაქტის შესახებ, პასუხობს მხოლოდ ბრალდების მხარის შეკითხვებს, რომელის თაობაზეც დგება ოქმი და მის სისწორეს მონაწილე პირები დასტურებენ ხელმოწერით.

არსებითი განხილვის ეტაპზე, განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის საქმეებზე, როდესაც მოწმე იკითხება სასამართლოს წინაშე და ხდება მის მიერ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების არსებითად შეცვლა, ძალადობისა და კონფლიქტის უარყოფა, მხარის მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საქართველოს სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლება, რომლის თანახმადაც „თუ მოწმე გამოცხადდა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მისაცემად, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს მისი გამოკითხვის ოქმის ან მის მიერ

<sup>33</sup> ვიკიკაშვილი მ. , პროკურორის მიერ მოწმის მომზადება, სამართლის ჟურნალი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, №2, 2016წ., გვ 246,

[https://tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/Samartlis%20Jurnali%202016.2.pdf](https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Samartlis%20Jurnali%202016.2.pdf);

<sup>34</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი;

ამ კოდექსის 114-ე მუხლის შესაბამისად მიცემული ჩვენების მთლიანად ან ნაწილობრივ საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე ამ ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება). სასამართლო ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა“. აღნიშნული მუხლის გამოყენება ხშირად ხდება სისხლის სამართლის საქმეებზე, როდესაც ოჯახში ძალადობის მოწმე ან დაზარალებული მნიშვნელოვნად ცვლის იმ გარემოებებსა და ფაქტებს, რომელსაც ეყრდნობა პირის ბრალდების შესახებ დადგენილება და ცალსახად უარყოფს ბრალდებულის მხრიდან ძალადობის ჩადენას. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, მოსამართლის მიერ ხდება შეფასება, თუ რომელი ინფორმაცია გაიზიარა და რას დაეყრდნო ის გამამართლებელი თუ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 მაისის №1/380-19 განაჩენის მიხედვით „ს.პ.-ს ბრალად ედებოდა საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი). საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, 2018 წლის 14 დეკემბერს ქ. თბილისში ს.პ.-მ ფიზიკურად იძალადა მეუღლეზე მ.ქ.-ზე, რის შედეგადაც ამ უკნასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო უშუალოდ დაზარალებულ მ.ქ.-ს შეტყობინების საფუძველზე, ის გამოკითხულ იქნა გამოძიების ეტაპზე სადაც დეტალურად აღწერა ქმრის მხრიდან განხორციელებული ძალადობის ფაქტი. ამასთან, მან მონაწილეობა მიიღო შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, მოითხოვა შემაკავებელი ორდერის გამოცემა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, სადაც დააფიქსირა ფიზიკური ძალადობის ფაქტი. მიუხედავად გამოძიების ეტაპზე საგამომიებო მოქმედებებში აქტიური ჩართულობისა და საგამომიებო ორგანოსათვის მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარებისა, არსებითი განხილვის ეტაპზე დაზარალებულმა მ.ქ.-მ უარყო 2018 წლის 14 დეკემბერს მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტი და განაცხადა, რომ ეს ყველაფერი გააკეთა მხოლოდამხოლოდ მეუღლესთან ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით. ამავე განაჩენში მოსამართლე საუბრობს, რომ დაზარალებული უკიდურესი დაბნეულობით და აღელვებით ცდილობდა არ ესაუბრა დანაშაულის მამხილებელ ფაქტობრივ გარემოებებზე, ალოგიკური პასუხებით ცდილობდა მის მიერ გამოძიებაში მიცემული ინფორმაციების გაბათილებას და ამ მიზნით ახდენდა საკუთარი თავის თვითინკრიმინებას.<sup>35</sup> აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში, მიუხედავად დაზარალებულის მზაობისა, რომ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების მოტივად დაედო ბრალდებულის მიმართ „პირადი ინტერესი“, სასამართლომ ბრალდებული ს.პ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში, ვინაიდან უპირობოდ გაიზიარა გამოძიების ეტაპზე მოპოვებული გამოკითხვის ოქმი, რომელიც თანხვედრაში იყო სისხლის სამართლის საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან.

განაჩენში სასამართლო განავითარებს მსჯელობას, რომ საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 24-ე პუნქტი აკეთებს მოწმის ჩვენების და არა მტკიცებულების დეფინიციას - „მოწმის ჩვენება არის მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული

<sup>35</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 მაისის №1/380-19 განაჩენი;

ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ“ და ეს ლოგიკურად არის, ვინაიდან გამოძიებაში მოწმის გამოკითხვა ხდება და არა დაკითხვა. მტკიცებულების არსი და ტერმინი განმარტებულია არა მოწმის ჩვენების დეფინიციის, არამედ 23-ე პუნქტში: „მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლომ წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას“. ანუ, მტკიცებულებას წარმოადგენს როგორც მოწმის ზეპირი ჩვენება, ასევე ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის მოწმის გამოკითხვის ოქმი), რითიც შესაძლოა დადგინდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები და გარემოებები. ამავე ნორმის თანახმად, „დოკუმენტად ითვლება ნებისმიერ წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა და სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.“<sup>36</sup>

ანალოგიური მსჯელობაა განვითარებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 თებერვლის განაჩენშიც, სადაც სასამართლომ არ გაიზიარა მოწმის ჯ.ჯ.-ს (დაზარალებულის მამა) სასამართლოში მიცემული ჩვენება და განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო მოწმის მიერ გამოძიების ეტაპზე გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებულ ინფორმაციას. კერძოდ, მ.ნ.-ს ბრალად ედებოდა საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი) და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქებიან მუქარის განხორციელების საფუძველიანი შიში). ბრალდებულ მ.ნ.-ის წინააღმდეგ არსებობდა არაერთი წერილობითი მტკიცებულება, თუმცა დაზარალებულმა გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება და საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის შესაბამისად გათავისუფლდა ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან. რაც შეეხება, მოწმე ჯ.ჯ.-მ, გამოძიების ეტაპზე გამოკითხვის ოქმში დეტალურად აღწერა მის ქალიშვილსა და სიძეს შორის დამაბული ურთიერთობა, ამასთან დანაშაულის ჩადენის დღეს მომხდარი კონფლიქტი და რაც მნიშვნელოვანია, ჯ.ჯ.-მ თავად მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს მისი ქალიშვილის ინტერესების დასაცავად და აცნობა ოჯახში ძალადობის შესახებ, რის საფუძველზეც სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება. სასამართლოში დაკითხვისას ამ უკანასკნელმა უარყო ყოველგვარი ძალადობის ფაქტი და განაცხადა,

<sup>36</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 მაისის №1/380-19 განაჩენი;



რომ როდესაც მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს იყო ნასვამი და რა ინფორმაცია დაფიქსირდა გამოკითხვის ოქმში არ იცოდა, რადგანაც ის იყო წერა-კითხვის უცოდინარი. სისხლის სამართლის საქმეში სხვა პირდაპირი მოწმე არ იყო. სასამართლომ შეაფასა რა მოწმე ჯ.ჯ-ს მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება, განმარტა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც მოწმე ჯ.ჯ-მ მართლმსაჯულებას ორი განსხვავებული ვერსია მიაწოდა - ერთი გამოძიების ეტაპზე გამოკითხვის ოქმში და მეორე - სასამართლოში ჩვენების მიცემისას, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწმის გამოკითხვის ოქმი წინასასამართლო სხდომაზე დაშვებულ იქნა, როგორც მტკიცებულება და მან შეიძინა სხვა სამხილებთან თანაბარი ძალის მქონე მტკიცებულების ხარისხი. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მოხდა ამ ოქმის მხარეთა მონაწილეობით საჯაროდ გამოკვლევა. შესაბამისად, გამოკითხვის ოქმს სასამართლო იგივე სტანდარტით შეაფასებს, როგორც სხვა მტკიცებულებებს.<sup>37</sup>

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასოს მოწმის მიერ მიცემული ჩვენება, კანონიერად მოპოვებული გამოკითხვის ოქმი და შეადაროს ის სისხლის სამართლის საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს და უალტერნატივოდ არ მოახდინოს საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 24-ე მუხლის განმარტება და შეფასების მიღმა არ დატოვოს გამოძიების ეტაპზე მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, მოძალადის, მსხვერპლის ან ძალადობის ფაქტის შესახებ. ამავე განაჩენში სასამართლო მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს მოწმის ჩვენებასთან მიმართებით, კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოკითხვის ოქმი, რომელიც შედგენილია საქართველოს სსსკ-ის 114-ე მუხლის შესაბამისად და წინასასამართლოზე სხდომაზე დასაშვებელია, როგორც მტკიცებულება - წარმოადგენს დოკუმენტს და მას თანაბარი ძალა აქვს მოწმის მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებასთან მიმართებით, რასაც ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ ამგვარი განმარტება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ინტერესების დაცვას ემსახურება.

#### **4.2 სამედიცინო და ფსიქოლოგიური ექსპერტიზის უპირობოდ გაზიარება**

არსებითი განხილვის ეტაპზე, მტკიცებულებათა ერთობლიობას მოწმეთა ჩვენებების გარდა ქმნის სხვა მტკიცებულებები, როგორცაა ექსპერტიზის დასკვნები. ექსპერტიზის დასკვნა ხშირ შემთხვევაში შესაძლოა უფრო მეტს საუბრობდეს, ვიდრე თავად დაზარალებული, როდესაც იყენებს საქართველოს სსსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებას, ან საერთოდაც უარყოფს ძალადობის შედეგად მიყენებულ ზიანს. ოჯახში ძალადობის საქმეებზე, მნიშვნელოვანი ექსპერტიზები გახლავთ ფსიქოლოგიური და სამედიცინო ექსპერტიზა. ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ძირითად შემთხვევაში ასახავს მოძალადის მიერ სისტემატური შეურაცხყოფით დაზარალებულისათვის მიყენებული ფსიქიკურ ტანჯვა არსებობა/არარსებობას. აღნიშნული ექსპერტიზის სასამართლოში წარდგენა მნიშვნელოვანია სწორედაც საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას, სადაც კანონმდებელი ქმედების „ოჯახში ძალადობის“ კვალიფიკაციისათვის იყენებს შედეგის არსებობას - ტანჯვის სახით. გარდა იმისა, რომ ტანჯვა, არის სუბიექტური

<sup>37</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 თებერვლის №1/4875-18 განაჩენი;

ელემენტი და მთლიანად დამოკიდებულია დაზარალებულის განცდებზე და ემოციებზე, სპეციალური ცოდნის მქონე პირს - ექსპერტს შეუძლია შესაბამისი კვლევის მეთოდებით დაადგინოს დაზარალებულისათვის ძალადობა რამდენად იყო ტანჯვის მომტანი. მნიშვნელოვანია, რომ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის წარდგენა თუკი ბრალდებულის მხრიდან ხდება წარდგენილი ბრალდების აღიარება, შესაძლოა აღარც გახდეს საჭირო, ვინაიდან ბრალდებულისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს სწრაფი მართლმსაჯულება და მიუხედავად დასკვნის არარსებობისა მოსამართლის მიერ მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებაც გახდეს საკმარისი პირის დამნაშავედ ცნობისათვის. ასევე, აზრს კარგავს ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, როდესაც დაზარალებული სასამართლოს წინაშე ირჩევს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლით მინიჭებულ უფლებას და არაფერს საუბრობს ძალადობის ფაქტზე. თუმცა, შესაძლებელია, რომ მოსამართლემ მაინც დაადგინოს პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი. მაგ. ,თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე ერთ-ერთ საქმეზე, სადაც ბრალდებულს ბრალად ედებოდა მეუღლის მიმართ სისტემატური შეურაცხყოფის განხორციელების ფაქტი, გ.ი. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა მეუღლის წინააღმდეგ არ მისცა ჩვენება, თუმცა სისხლის სამართლის საქმეში მოიპოვებოდა ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, სადაც, აღნიშნული იყო, რომ დაზარალებული ს.პ. მეუღლის მხრიდან განხორციელებული ქმედებებით განიცდიდა ტანჯვას.<sup>38</sup>

გამოძიების ეტაპზე ფსიქოლოგიური ექსპერტიზის მოპოვება ხშირ შემთხვევაში წამოადგენს პრობლემას. მაგალითად, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, დაზარალებულმა შესაძლოა მალევე შეცვალოს დამოკიდებულება მოძალადე პირის მიმართ და უარი განაცხადოს ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებაზე, რაც ცხადია ვერ განხორციელდება იძულებით და საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე აღნიშნული მტკიცებულების წარდგენა ვეღარ მოხდება.

სისხლის სამართლის საქმეზე სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება აუცილებელია არა მხოლოდ დაზარალებულზე არსებული დაზიანებების დასადასტურებლად, არამედ დაზიანების ხარისხისა და ხანდაზმულობის განსაზღვრისათვის. დაზარალებულის დაუყოვნებლივ გადაყვანა სამედიცინო ექსპერტიზაზე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ხშირად დაზიანება შესაძლოა გაქრეს რამოდენიმე დღეში და ვეღარ მოხდეს პირვანდელი მდგომარეობის დაფიქსირება, რაც ხელს შეუშლის ძალადობის ფაქტის დადასტურებას.

საქართველოს სსკ-ის XX-ე თავში, რომელიც ეხება ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ყველა მუხლი გარდა საქართველოს სსკ-ის 126-ე და 126<sup>1</sup> მუხლისა უპირობოდ საჭიროებს შესაბამის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, რადგანაც ყველა მუხლში მითითებაა ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხზე, რომლის ზუსტ განსაზღვრებასაც ახდეს სამედიცინო ექსპერტი. ცხადია, სამედიცინო ექსპერტიზის გარეშე მოსამართლე დამოუკიდებლად ვერ განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაზიანება არის მსუბუქი, ნაკლებად მძიმე და თუ მძიმე ხარისხის, ეს ცალსახად სამედიცინო სფეროს წარმომადგენლის შეფასების კატეგორიაა.

<sup>38</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი №1/3231-18;

საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლისა და 126<sup>1</sup> მუხლები ცალსახად აკეთებენ მითითებას, რომ ფიზიკურმა ძალადობამ არ უნდა გამოიწვიოს საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი და ძალადობის შედეგად პირმა უნდა განიცადოს ფიზიკური ტკივილი. ამდენად, ქმედების აღნიშნული მუხლებით კვალიფიკაციისთვის აუცილებელია უშუალოდ დაზარალებულის პოზიცია და დამოკიდებულება, მისი განმარტება განიცადა თუ არა ფიზიკური ტკივილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ საქმეში, დაზარალებული ქალბატონი მ.ა. გამოძიების ეტაპზე აცხადებდა, რომ მეუღლემ 2018 წლის 24 აგვისტოს მასზე იძალადა, ასევე დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, რის თაობაზეც დაიწყო დაუყოვნებლივ გამოძიება. მოპოვებული სამედიცინო ექსპერტიზის თანახმად, დაზარალებულს აღენიშნებოდა დაზიანებები ნაჭდევების სახით ყელისა და თავის არეში. ამავე დასკვნაში მითითებული იყო, რომ ექსპერტიზის წინაშე დაზარალებულმა განაცხადა, რომ დაზიანებები მიაყენა მისმა მეუღლემ.<sup>39</sup> სისხლის სამართლის საქმეზე იყო ირიბი მოწმე, რომელიც ადასტურებდა 2019 წლის 24 აგვისტოს შეესწრო მეუღლეებს შორის კონფლიქტს, ამასთან არსებობდა სსიპ 112-ის აუდიოჩანაწერი, სადაც დაზარალებული აფიქსირებდა, რომ მეუღლემ მასზე იძალადა და ემუქრებოდა მოკვლით. სასამართლო განხილვის ეტაპზე, დაზარალებულმა გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება და სასამართლოს არ მისცა ჩვენება ახლო ნათესავის წინააღმდეგ. სასამართლომ ცალკე აღებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში არ განიხილა საკმარის მტკიცებულებად პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის და ის სრულად გაამართლა საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. ამ განაჩენში, სასამართლოს მოტივაცია, თუ რატომ არ გაიზიარა პირის მიმართ მტკიცებულებათა საკმარისობა აღნიშნავს, რომ „სასამართლო მხედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სხვადასხვა საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თუმცა, მიუხედავად ამ საქმეთა უდავოდ დიდი მნიშვნელობისა, ის ვერ გაამართლებს ბრალდებულის მსჯავრდებას საკმარისი მტკიცებულებების გარეშე - სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეში არ არსებობს პირდაპირი მტკიცებულებები, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა ბრალდებულის ბრალეულობას. მხოლოდ იმის გამო, რომ პირს ბრალად ედება სენსიტიური დანაშაულის ჩადენა, მისთვის სამართლიანი სამართალწარმოების გარანტიების უგულებელყოფა არ უნდა მოხდეს“.<sup>40</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული განაჩენში, მოსამართლე პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის აუცილებელ პირობად პირდაპირ მტკიცებულებას მოითხოვს, რომელიც არის მხოლოდამხოლოდ დაზარალებულის ჩვენება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 ოქტომბრის №1/3820-18 განაჩენში განსხვავებული მსჯელობაა ოჯახში ძალადობის ფაქტზე სამედიცინო

<sup>39</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის განაჩენი №1/4556-18;

<sup>40</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის განაჩენი №1/4556-18;

ექსპერტიზის მნიშვნელობასთან მიმართებით. კერძოდ, ნ.გ.-ს ბრალად ედებოდა მეუღლის დ.ლ.-ს მიმართ განხორციელებულ სისტემატური ცემა, საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობდნენ ფიზიკური ძალადობის თვითმხილველი მოწმეები, ხოლო დაზარალებულმა სასამართლოს არ მისცა მეუღლის წინააღმდეგ დანაშაულში მამხილებელი ჩვენება. საქმეში არსებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, კი დაზარალებულის სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები მარცხენა წინამხრისა და მხრის არეში სისხლნაჟღენთების და ექსკორიციების სახით, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში სასამართლომ დამნაშვედ ცნო ნ.გ. წარდგენილ ბრალდებში. ამასთან, სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება, რომ „დაზარალებულ დ.გ.-ს ქმედებები ნამდვილად ჰგავს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა კლასიკურ საქციელს, რომლებიც ძალადობის შემდგომ მუდმივ შიშსა და დაძაბულობაში განაგრძობენ ცხოვრებას. ამასთან დ.გ.-ს შიში, არის არა ვირტუალური და გამოგონილი, არამედ სავსებით რეალური, ვინაიდან პოლიციის მიმართ გაკეთებული განცხადების საფუძველზე, სასამართლოს მეტად დამაჯერებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ დ.გ. იყო სწორედ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი მისი მეუღლის მხრიდან. ამდენად, სასამართლო ფაქტად იღებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებული, რომელიც არის ძალადობის მსხვერპლი, უკიდურესად შეშინებულია და მოძალადისგან მომავალი საფრთხის განეიტრალებას (თვითგადარჩენას) მის მიმართ ლმობიერი პოზიციის დაკავებაში ხედავს.“<sup>41</sup>

ამდენად, სასამართლოს მხრიდან სამედიცინო და ფსიქოლოგიურ ექსპერტიზებთან მიმართებით ხდება ინდივიდუალური მიდგომა და შეფასება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ერთ შემთხვევაში მისმა არსებობამ შესაძლოა საერთოდ არ მოახდინოს ზეგავლენა ძალადობის ფაქტის დასადასტურებლად, ხოლო მეორე შემთხვევაში ის შესაძლოა გადაიქცეს ძალადობის დასაგმობად აუცილებელ და მნიშვნელოვან მტკიცებულებად, რომელიც სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას ებრძოდეს ოჯახში ძალადობას.

### **4.3. მტკიცებულებათა არასაკმარისობა, რომლებიც „განადგურდა“ არსებითი განხილვის ეტაპზე**

არსებითი განხილვის ეტაპზე ბრალდების მხარე თავად განსაზღვრავს გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობასა და მოცულობას.<sup>42</sup> არსებითი განხილვის ეტაპზე, არათუ ოჯახში ძალადობის საქმეს, არამედ ყველა სისხლის სამართლის საქმეს შესაძლოა დაემუქროს საფრთხე მტკიცებულებათა გამოკვლევისას. ცხადია, ეს გარემოება არ ეხება წერილობითი მტკიცებულებას, რომელიც არის სისხლის სამართლის საქმეში, ან ნივთიერ მტკიცებულებას, რომელიც ინახება კონკრეტულ ადგილას პირის ზედამხედველობის ქვეშ. ძირითადი საფრთხე, რომელიც წარმოადგენს საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე გახლავთ - მოწმის ჩვენება. ოჯახში ძალადობის საქმეებზე, სწორედ მოწმის ჩვენება არის ის

<sup>41</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 ოქტომბრის №1/3820-18 განაჩენი; გვ7;

<sup>42</sup>საქართველოს სსსკ-ის 242-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომელიც შესაძლოა „განადგურდეს“ არსებითი განხილვისას. მაგალითად, როდესაც მოწმე უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე და არსებითად ცვლის ჩვენების შინაარსს.

მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებების მოპოვების პროცესში მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა მხარეს ყოველთვის შეუძლია, შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნისას, წინასწარ განისაზღვროს მოწმის ქმედება, მისცემს თუ არა ახლო ნათესავის წინააღმდეგ დანაშაულში მამხილებელ ჩვენებას და დაადასტურებს თუ არა ძალადობის ფაქტს. სწორედ ამგავრი შეთხვევები ხდება არაერთ სისხლის სამართლის საქმეში, როდესაც იხილება ოჯახში ძალადობის ფაქტები და მოსამართლის მიერ ხდება გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ოჯახში ძალადობის ფაქტების მზარდი რაოდენობის მიუხედავად, პრაქტიკაში ხშირად პრობლემას ქმნის დაზარალებულის (მოწმის) უარი ჩვენების მიცემაზე ან ჩვენების შეცვლა, რაც უმეტესწილად ხდება პროკურატურის მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის განმაპირობებელი ერთ-ერთი საფუძველი.<sup>43</sup> ოჯახში ძალადობის საქმეებზე საკმაოდ დიდ მაჩვენებლებზე დგება გამამართლებელი განაჩენი, რომელიც ძირითადი საფუძველიც სწორედ დაზარალებულის მხრიდან დაცვის მხარისათვის გარკვეული შეღავათის და „დახმარების“ გაწევას.

დაზარალებულები, როგორც წესი ერთჯერადად არ ხდებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი და ხშირ შემთხვევაში მოძალადე პირისათვის დანიშნული სასჯელიც კი ვერ ხდება მისთვის შემაკავებელი ხასიათის. თბილისის საქალაქო სასამართლოში იხილებოდა სისხლის სამართლის საქმე ვ.ჩ.-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 11<sup>1</sup>,151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. მან მუქარა და ფიზიკური ძალადობა განახორციელა მეუღლის ი.ნ.-ის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის ჩადენისას ბრალდებული ვ.ჩ. უკვე იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ ამავე დაზარალებულის მიმართ განხორციელებული ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ჩადენისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული მეორეჯერ გახდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, მან სასამართლოს არ მისცა ბრალდებულის წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენება (ანალოგიური განახორციელა პირველ ჯერზე) და ის სრულად გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში.<sup>44</sup> იგივე განხორციელდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის განაჩენში. კერძოდ, ო.გ. 2018 წლის 26 ივლისის განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი მეუღლის ე.შ.-ს მიმართ განხორციელებულ ოჯახში ძალადობისათვის. მიუხედავად აღნიშნულისა, მან ე.შ.-ს მიმართ 2019 წლის 6 თებერვალს კვლავ განახორციელა ფიზიკური ძალადობა და მას ბრალი წარედგინა საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. საქმის არებითი განხილვის ეტაპზე დაზარალებულმა ე.შ.-მ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება (იგივე განახორციელა

<sup>43</sup>საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, კვლევისა და ანალიზის ცენტრი, თბილისი, 2017, გვ 67;

<sup>44</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 მაისის №1/5310-18 განაჩენი;

პირველ ჯერზეც) და მეუღლის წინააღმდეგ არ მისცა ძალადობაში მამხილებელი ჩვენება. სასამართლომ განმარტა, რომ „არ მოიპოვება ეჭვის გამომრიცხავ, ურთიერთშეთანხმებულ, სანდრო და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა ო.გ.ს მიერ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დანაშაულის ჩადენას“.<sup>45</sup>

ანალოგიური განხორციელდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 7 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში, როდესაც დ.მ. მოსამართლემ უდანაშაულოდ ცნო საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. საქმეში მოიპოვებოდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც აღწერდა დაზარალებულ ნ.ზ.-ს სხეულზე არსებულ დაზიანებებს, მან სასამართლოში არ მისცა მეუღლის წინააღმდეგ დანაშაულში მამხილებელი ჩვენება და დ.მ. გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში.<sup>46</sup> ამდენად, სისხლის სამართლის საქმეში არსებული მნიშვნელოვანი ორი მტკიცებულება, დაზარალებულის ჩვენება და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა „განადგურდა“ არსებითი განხილვისას და ისინი ვერ იქნა გამოყენებული ბრალდებულის საწინააღმდეგოდ. დაზარალებულის დუმილმა აზრი დაუკარგა სამედიცინო ექსპერტიზის არსებობას და ის დარჩა სასამართლოს მხედველობის მიღმა.

სწორედ, დაზარალებულის პოზიციის ცვლილება იწვევს გარკვეულ რისკებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სასამართლო ვერ ერევა მოწმისათვის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაში და მართლმსაჯულება, პირდაპირ თუ ირიბად, ექცევა დაზარალებულთა ნების ქვეშ - დასაჯოს თუ არა თუ არა პირი ოჯახში ძალადობის ჩადენისათვის.

#### **4.4. მტკიცებულებათა განსხვავებულად შეფასების პრაქტიკა ოჯახში ძალადობის საქმეებზე**

მოდალადე პირთა მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელების ზრდამ საერთო სასამართლოებში გამოიწვია ოჯახში ძალადობის საქმეთა სიმრავლე, ხოლო მოსამართლეთა და სასამართლო ინსტანციებს შორის განსხვავებული მიდგომები მტკიცებულებათა შეფასების ნაწილში, რაც ცალსახად ბუნებრივია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ვინაიდან „პირის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სასჯელის შეფარდება მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა“ და მხოლოდ მოსამართლეს შესწევს ძალა, განიხილოს და შეაფასოს პირის მიმართ არსებული, დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებები და გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, ამასთან, უნდა იხელმძღვანელოს სტანდარტით „გონივრულ ეჭვს მიღმა“. „მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა“.<sup>47</sup>

<sup>45</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის №1/1062-19 განაჩენი;

<sup>46</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 7 მაისის №1/75-19 განაჩენი;

<sup>47</sup>Barbera, Messegue, Jabardo v. Spain, №10590/93, 6/12/1988, §68;

#### 4.4.1 მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიები გადაწყვეტილების მიღებისას

მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. სასამართლოს დამოუკიდებლობა საერთაშორისოდ აღიარებული ის პრინციპია, რომელიც პირდაპირპროპორციულად დაკავშირებულია ადამიანის ძირითად უფლებებთან. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „...კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“ უნდა განხორციელდეს მართლმსაჯულება.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, პირველ ღირებულებას და პრინციპს სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობა წარმოადგენს, რაც გულისხმობს, რომ „სასამართლოს დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტია. შესაბამისად, მოსამართლემ უნდა დაიცვას და ცხოვრებაში დაამკვიდროს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი, როგორც ინდივიდუალური, ისე ინსტიტუციური ასპექტით.<sup>48</sup> დამოუკიდებლობა ცალსახად გულისხმობს მოსამართლის მიერ ინდივიდუალურად, მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სხვისი ზეგავლენის გარეშე გადაწყვეტილების მიღებას.

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. არავის არ აქვს უფლება, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში ან მიუთითოს, როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე.

საქართველოს სსსკ-ის მე-12 მუხლით განმტკიცებულია კანონიერებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპი. ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებელია და მის მიერ უნდა მოხდეს მტკიცებულებათა შეფასება და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება.

მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთ დანაშაულთა მიმართ სისხლისსამართლის პოლიტიკის გამკაცრებამ, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე უნდა იქონიოს თუ არა ზემოქმედება და განსაკუთრებული გულისხმიერებით განიხილოს თუ არა კონკრეტული სახის დანაშაულს, როგორცაა ოჯახში ძალადობა.

<sup>48</sup>იხ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2015, გვ. 34.

#### 4.4.2. ინდივიდუალური გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩამოყალიბებული არაერთგვაროვანი პრაქტიკა

სასამართლოსა და მხარეებს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი სახე, წერილობითი ფორმით ურთიერთობაა, რაც შინაარსობრივად გულისხმობს სასამართლოს მიერ წერილობით მომზადებული გადაწყვეტილებებით (განაჩენებით) პასუხის გაცემას მხარეთა მიერ შეტანილ შუამდგომლობებთან და წარმოდგენილ არგუმენტებთან დაკავშირებით. საკმარისი არ არის, რომ გადაწყვეტილება იყოს მხოლოდ კანონიერი. ამავდროულად, აუცილებელია იგი იყოს დასაბუთებული და გასაგები ენით დაწერილი, რათა მხარეებმა, რომელთა სასარგებლოდ/საუარესოდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, გაიგონ რა არგუმენტებზე დაყრდნობით მიიღო სასამართლომ კონკრეტული გადაწყვეტილება, მხარეთა რომელი მოსაზრებები გაითვალისწინა ან უარყო და რა გახდა დამდგარი შედეგის ძირითადი სამართლებრივი საფუძველი.<sup>49</sup> სწორედ განაჩენის, სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების დასაბუთება გვამღებს ანალიზისა და დაკვირვების შესაძლებლობას.

საერთო სასამართლოებში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას ჩამოყალიბდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც შეეხება ოჯახში ძალადობის საქმეებზე მოსამართლის მხრიდან მტკიცებულებების შეფასებას და ხშირ შემთხვევაში მხარეთათვის ბუნდოვანი რჩება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება. მოსამართლეთა მხრიდან, სისხლის სამართლის საქმეში ინდივიდუალურად ხორციელდება მტკიცებულებათა სტანდარტის განსაზღვრა, რის შემდგომაც დამოუკიდებლად მიიღება გადაწყვეტილებები. განაჩენის დადგენისას, კონკრეტულ მტკიცებულებებს მოსამართლეთა ნაწილი მიიჩნევს საკმარისად, ხოლო მეორე ნაწილი არასაკმარისად. ოჯახში ძალადობის საქმეებზე, მტკიცებულებათა სკეპტიკურად შეფასება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებაზე, მაშინ, როდესაც მოსამართლეთა მეორე ნაწილი დაზარალებულის ჩვენების მიუხედავად სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ცდილობს მოძალადე პირის დასჯას.

მოგეხსენებათ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით გარანტირებულია ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, „არავინ არ არის ვალდებული ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება ამ კოდექსით. ამავე კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოწმედ დაკითხვის ვალდებულება არ ეკისრება ბრალდებულის ახლო ნათესავს. ხოლო ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში არსებული ახლო ნათესავის ტერმინი გულისხმობს შემდეგ პირთა წრეს: მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის განქორწინებული).

ოჯახში ძალადობის საქმეები ხასიათდება განსაკუთრებული სირთულით, კერძოდ, ოჯახში ძალადობის ფაქტს ხშირ შემთხვევაში არ ჰყავს შემსწრე პირი და ბრალდება ეფუძნება მხოლოდ დაზარალებულის და მისი ახლო ნათესავების

<sup>49</sup> თევზაძე ლ. , დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი №4 (60) 2018წ., გვ 8;



ჩვენებებს, ხოლო აღნიშნული პირები ხშირ შემთხვევაში სარგებლობენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებით და არ აძლევენ სასამართლოს ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენებას. ამდენად, ოჯახში ძალადობის დანაშაული არ არის საჯარო და მით უმეტეს, არ გამოირჩევა თვითმხილველ მოწმეთა სიმრავლით, შესაბამისად, მსგავსი კატეგორიის საქმეებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუნდაც ერთი მოწმის ან/და დაზარალებულის ჩვენება, რომელიც რა თქმა უნდა, უნდა იყოს თანმიმდევრული და შესაბამისი/თანხვედრაში სხვა მტკიცებულებებთან, მათ შორის ირიბ მტკიცებულებებთან. აღნიშნული მიდგომა განვითარებულია საერთო სასამართლოების არაერთ გადაწყვეტილებაში, მათ შორის საქართველოს უზენაესი სასამართლო ავითარებს მსგავს მიდგომას.<sup>50</sup>

საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ რამოდენიმე განაჩენი. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 3 აგვისტოს განაჩენის საფუძველზე გ.ბ. გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში (ოჯახში ძალადობა 3 ეპიზოდით),<sup>51</sup> სისხლის სამართლის საქმეში არსებობდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, სადაც დაფიქსირებული იყო ბრალდებულის ორი არასრულწლოვანი შვილისა და ცოლის დაზიანებები, ექსპერტიზის ჩატარებისას დაზარალებულთა მხრიდან ცალსახად დაფიქსირებულ იქნა ძალადობის განმარტებული პირის ვინაობა, რომელიც გახლდათ გ.ბ. ამასთან, სასამართლო განხილვისას ექსპერტებმა დაასტურეს მათ მიერ შედგენილი ექსპერტიზის დასკვნების სისწორე და განაცხადეს, რომ დაზიანებები ბრალდებულმა მიაყენა ოჯახის წევრებს. აღნიშნული არ იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ, გ.ბ. გამართლა წარდგენილ ბრალდებაში და სასამართლომ მიუთითა, რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის საქმეში პირდაპირი მტკიცებულება, ვინაიდან დაზარალებულებმა სასამართლო განხილვის ეტაპზე ისარგებლეს მათთვის მინიჭებული უფლებით და ოჯახის წევრის საწინააღმდეგოდ არ ისურვეს ჩვენების მიცემა.

აღნიშნული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 ივლისის განაჩენით მიღებულ იქნა საპირისპირო გადაწყვეტილება და მოძალადე პირი ო.გ. დამნაშავედ ცნო ცოლის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაში (საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით).<sup>52</sup> აღნიშნული საქმის გარემოებებიც გახლდათ მსგავსი-დაზარალებულმა და ბრალდებულის დედამ, რომლებიც იყვნენ თვითმხილველი მოწმეები, სასამართლოში არ მისცეს ოჯახის წევრის საწინააღმდეგოდ ჩვენება. სასამართლოს წინაშე დარჩა ირიბი მტკიცებულებები- სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებები, რომლებიც დაუყოვნებლივ მივიდნენ შემთხვევის ადგილზე და შეესწრნენ მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს. აღნიშნულ საქმეში არ მოიპოვებოდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და არც სასწრაფო სამედიცინო შემოწმების ბარათი, რაც დადასტურებულად ასახავდა დაზარალებულის სხეულზე რაიმე ძალადობის ფაქტს. მიუხედავად დაზარალებულის და ბრალდებულის დედის პოზიციისა, სასამართლომ პირი დამნაშავედ ცნო ოჯახში

<sup>50</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის №253აპ.-15 განაჩენი.

<sup>51</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 3 აგვისტოს განაჩენი საქმეზე №1/192-18;

<sup>52</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის განაჩენი საქმეზე №1/209-18;

ძალადობის ჩადენისათვის. ამავე განაჩენში სასამართლო აღნიშნავს, რომ „სწორედ დაზარალებულისათვის მიყენებულმა ფიზიკურმა ტკივილმა და ტანჯვამ განაპირობა ის, რომ თავდაცვის მიზნით მსხვერპლმა და მოძალადისვე დედამ გამოიყენეს უკიდურესი საშუალება, - მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს“.<sup>53</sup>

მოსამართლის გადაწყვეტილების მართებულობის დასაბუთებისათვის შეიძლება აქვე აღინიშნოს- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ირიბი ჩვენების გამოყენება გამამატყუნებელი განაჩენის და ბრალის დადგენილების დასაბუთებისათვის, ის აღნიშნავს, რომ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება არსებობდეს ვითარება, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია ირიბი ჩვენების გამოყენება. მაგალითად, მოწმე ან დაზარალებული დაშინებულია ან არსებობს მისი, როგორც მოწმის უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა. მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ, მოწმის დაშინებამ არ უნდა შეაფერხოს მართლმსაჯულების განხორციელება და სწორედ ამიტომ, გამონაკლის შემთხვევებში სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს შეაფასოს ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და მისი გამოყენების აუცილებლობა.<sup>54</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის პირველი მაისის №614აპ.-17 განაჩენის საფუძველზე გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 სექტემბრის გამამართლებელი განაჩენი და გ.ქ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით გ.ქ.-ს ბრალი დაედო ოჯახურ ძალადობაში, ე.ი. ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობაში, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, რაც გამოიხატა შემდეგში: 2016 წლის 8 იანვარს, ღამის საათებში, თბილისში, ლორთქიფანიძის ქუჩის №38-ე კორპუსში მდებარე ერთ-ერთ ბინაში გ.ქ.-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს - მ.წ.-ს, დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში სცემდა ხელებითა და ფეხებით, სახისა და ტანის არეში, რითაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანებები ჯანმრთელობის მოუშლელად. 2017 წლის 15 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით გ.ქ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ, აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 სექტემბრის განაჩენით. კასატორი (ბრალდების მხარე) ითხოვდა 2017 წლის 27 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და გ.ქ.-ს დამნაშავედ ცნობას ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სამართლოში დაზარალებულმა და ბრალდებულის მეუღლემ - მ.წ.-მ არ მისცა ჩვენება სასამართლოს და ისარგებლა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გარანტირებული უფლებით, ის სააპელაციო სასამართლოში დაიკითხა მოწმის სახით და მისცა ბრალდებულის წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენება. ამდენად, დაზარალებული

<sup>53</sup>ქვე, გვ 9;

<sup>54</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36;

ჩვენება და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა სტანდარტით ადასტურებდა გ.ქ.-ის მიერ ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენას.<sup>55</sup>

საკასაციო სასამართლო განაჩენის დასაბუთებისას საუბრობს არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე და მიუთითებს სახელმწიფოს განსაკუთრებულ როლს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ შორის გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია „ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღკვეთის შესახებ“, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოებს განახორციელონ ჯეროვანი ქმედებები, რათა თავიდან აიცილონ, გამოიძიონ და და დასაჯონ ქალთა წინააღმდეგ ძალადობის განმხორციელებელი პირები. ამასთან იშველიებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 5 აპრილის დადგენილებით რატიფიცირებულ ევროპის საბჭოს კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია“), რომელიც მიზნად ისახავს ქალების დაცვას ყოველგვარი ძალადობისაგან. ამასთან აღნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სასამართლო სისტემას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი აკისრია, ვინაიდან სწორედ მან უნდა დააკისროს მოძალადეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამდენად, სასამართლოს მიერ ყოველ ჯერზე უნდა განხორციელდეს ოჯახში ძალადობის საქმეებზე გულისხმიერი მიდგომა და სასამართლოების მიერ განსაკუთრებულ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს მტკიცებულებათა სტანდარტის „გონივრულ ეჭვს მიღმა“ განმარტება. ვინაიდან, ოჯახში ძალადობა უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება დახურულ სივრცეში, სახლში, სადაც ობიექტურად ვერ იქნა სხვა გარეშე პირი, რომელმაც შესაძლოა სასამართლოს ან სამართალდამცავ ორგანოს მიაწოდოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და დაეხმაროს სახელმწიფოს მტკიცებულებათა მოპოვებაში. ოჯახში ძალადობის საქმეებში, ხშირ შემთხვევაში დაზარალებულის ჩვენებასთან ერთად სწორედ ირიბი მტკიცებულება გამოიყენება.<sup>56</sup> დაცვის მხარე, სასამართლოში ხშირად იშველიებს ირიბი მტკიცებულების „არ გაზიარების“ საკითხს, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <sup>57</sup> ირიბი ჩვენება ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს და მხოლოდ ირიბი ჩვენება არ შეიძლება დაედოს საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს. საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევაში სასამართლო პირდაპირ მტკიცებულებად იშველიებს იმ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებმაც უშუალოდ ნახეს დაზარალებული ძალადობის შემდეგ და რომელთაც უშუალოდ, პირველივე ჯერზე მოუყვა დაზარალებულმა მომხდარი ფაქტის შესახებ.<sup>58</sup> 2018 წლის 21 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენისას სასამართლო აღნიშნავს,<sup>59</sup> რომ ირიბი ხასიათის მტკიცებულებად არ უნდა იქნეს განხილული იმ მოწმეთა ჩვენები, რომლებსაც კონფლიქტის შემდგომ

<sup>55</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 1 მაისი №614აპ.-17 განაჩენი, გვ.2;

<sup>56</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 ოქტომბრის №1/3820-18 განაჩენი.

<sup>57</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ №1/1/548.

<sup>58</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის №1/1159-18 განაჩენი.

<sup>59</sup> იქვე;

დაზარალებულმა უშუალოდ მოუყვა მასზე განხორციელებული ძალადობა, ამასთანავე, ნახეს დაზარალებულის ფიზიკური და ემოციური მდგომარეობა. ამდენად, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებაში, სასამართლოს მიდგომა ყველა ინსტანციის სასამართლოში უნდა იყო მაქსიმალურად მიახლოებული ერთმანეთთან და იდენტური მტკიცებულებების საფუძველზე არ უნდა ხორციელდებოდეს რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება, მით უფრო ოჯახში ძალადობის საქმეებზე, სადაც მსხვერპლის სამართალდამცავი ორგანოსადმი მიმართვის ძირითად მოტივს მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება და მოძალადისაგან დაცვა წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ დასტურდება სახელმწიფო ინსტიტუტების როლი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში და მართლმსაჯულების მუშაობის ეფექტი. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ოჯახში ძალადობის დანაშაული განისაზღვრა, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული დანაშაული, რომელიც საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ძალისხმევას.<sup>60</sup> ამასთან, სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელების მაჩვენებლის ზრდამ გამოიწვია საერთო სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა შორის ოჯახში ძალადობის დანაშაულთა სიმრავლე. მათ შორის, მოსამართლეთა შორის განსხვავებულმა მიდგომებმა მტკიცებულებათა შეფასების ნაწილში, რაც ცალსახად ბუნებრივია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, „პირის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სასჯელის შეფარდება მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა“ და მხოლოდ სასამართლოს შესწევს ძალა, განიხილოს პირის მიმართ არსებული დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებების და გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, ამასთან უნდა იხელმძღვანელოს სტანდარტით „გონივრულ ეჭვს“ მიღმა.

მოსამართლემ განაჩენი უნდა გამოიტანოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. „გონივრულ ეჭვს მიღმა“ – არსობრივად ეს არის მოთხოვნა უტყუარობის და არა ალბათობის.<sup>61</sup> მოცემული მტკიცებულებებითი სტანდარტი ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად დამკვირვებელ პირს სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების შედეგად ცალკეული ფაქტების არსებობაში, ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების ჭეშმარიტებაში და ამ უკანასკნელის ბრალეულობაში გონივრული ეჭვის საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (ე.წ. in dubio pro reo-ს პრინციპი).<sup>62</sup> საინტერესოა, რომ მოსამართლის მიერ ჯეროვნად უნდა ხდებოდეს მტკიცებულებათა შეფასება და გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა სტანდარტის დადგენა. მით უფრო, ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებიც განსაკუთრებული სენსიტიურობით და მოწმეთა ვიწრო წრით შემოიფარგლება. ამდენად, სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, უნდა იხელმძღვანელოს დაზარალებულის ჩვენებით, რომელიც უნდა იყოს დამაჯერებელი

<sup>60</sup>საქართველოს პროკურატის სტრატეგია (2017-2021 წლები), გვ22-25;

<sup>61</sup>აქუბარდია ი. , შეჯიბრებითობისქართულიმოდელისზოგიერთიასპექტი, გერმანულ-ქართულისისხლისსამართლისჟურნალი,2/2016, გვ 11;

<sup>62</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ 33;

და თანხვედრაში იყოს სხვა მტკიცებულებებთან, მათ შორის ირიბ მტკიცებულებებთან. ამდენად, სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს ბალანსის დაცვა ძალადობის მსხვერპლის - დაზარალებულის უფლებებსა და ბრალდებულის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებს შორის.

ამასთან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომლებიც შეეხება მტკიცებულებათა შეფასებას, გონივრულ ეჭვს მიღმა, მტკიცებულებათა სტანდარტმა, გარკვეული სახეცვლილება განიცადა. ამდენად, სასამართლოს მიერ ხდება ბალანსის დაცვა დაზარალებულის უფლებების დაცვასა და ბრალდებულის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებს შორის.

გადაწყვეტილებების დასაბუთებისას, როდესაც დაზარალებული უარს აცხადებს ოჯახის წევრის მიმართ ჩვენების მიცემაზე, მოსამართლეთა ერთი ნაწილი უთითებს ბრალდებულის ინტერესების დაცვაზე, რომ არ მოხდეს მისი მსჯავრდება უსაფუძვლო ბრალდებაში, მხოლოდ ირიბი (არაპირდაპირი) და არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე, ხოლო მეორე ნაწილი ხაზს უსვამს ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს განსაკუთრებულ როლს და ცდილობს, დაზარალებულის უარის მიუხედავად სისხლის სამართლის საქმეში დაეყრდნოს სხვა მტკიცებულებებს და ბრალდებული დამნაშავედ ცნოს ოჯახში ძალადობის განხორციელებაში. „ცალკეულ შემთხვევებში, ირიბი ჩვენება შესაძლოა იყოს ირიბი მტკიცებულება და ასევე, ირიბი ჩვენების შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია იგი წარმოადგენდეს პირდაპირ მტკიცებულებასაც.“<sup>63</sup> მოსამართლეთა ნაწილი, რომელსაც გამოქვს გამამტყუნებელი განაჩენი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაზარალებული უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე, ცდილობს სხვა მტკიცებულებებს მისცეს პირდაპირი მტკიცებულებების შეფასება.

ერთი შეხედვით ბუნდოვანია, ერთსადაიმავე სასამართლოში რატომ ხდება სხვადასხვა მოსამართლეთა მხრიდან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება ოჯახში ძალადობის საქმეებზე, აღნიშნული გამომდინარეობს სწორედ მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიიდან და „გონივრულ ეჭვს მიღმა“ პრინციპისინდიციდუალური გაგებიდან. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს ერთიანი სტანდარტი სწორედაც ოჯახში ძალადობის საქმეებზე, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმა სასამართლოში გამოწვეულია მოძალადის შიშით ან სიბრალულით, რომელიც გამომდინარეობს მსხვერპლისა და მოძალადის თანაცხოვრების კავშირით და მიჯაჭვულობით.

---

<sup>63</sup>მაღლაკელიძე ლ. , თუმანიშვილი გ. , არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი 1(53), თბილისი, 2017, გვ 31;

## თავი V. დაზარალებულის უფლებების დაცვა ოჯახში ძალადობის საქმეებზე

### 5.1. დაზარალებულის უფლებების დაცვის საფრთხე, გამოწვეული არაერთგვაროვანი პრაქტიკის შედეგად

უპირველს ღირებულებას ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში სწორედ დაზარალებულის ინტერესების დაცვა წარმოადგენს. დაზარალებულის სიცოცხლის შენარჩუნების, უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების, ჯანმრთელობის დაზიანებისაგან თავის არიდების და ფსიქიკური ტრამვების გარეშე ცხოვრების შესაძლებლობა, სახელმწიფოს აიძულებს მკაცრი და მყისიერი ნაბიჯები გადადგას ამ დანაშაულის აღსაკვეთად. სახელმწიფო უწყებების უმთავრესი მიზანი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში მიმართული უნდა იყოს მსხვერპლის მოსალოდნელი ძალადობისაგან დასაცავად. განსახილველ ნაშრომში არაერთი განაჩენი მიმოვიხილეთ სადაც იკითხება, რომ სასამართლოსათვის უპირველესია შეიქმნას იმ მტკიცებულებათა ჯაჭვი და პირდაპირ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, მაშინ როდესაც სხვა გადაწყვეტილებებში ჩანს მოსამართლის სულისკვეთება ოჯახში ძალადობისგან დაზარალებულის დასაცავად, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული უარს აცხადებდა ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. ვინაიდან, ოჯახში ძალადობას აქვს განმეორებითი და განგრძობადი ხასიათი, მნიშვნელოვანია, რომ განაჩენის გამოტანისას და პირის მსჯავრდებისას დაზარალებულის კანონიერი ინტერესები იდგეს წინ.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებული არ არის მხარე. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებისთანავე, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქმედებს მხოლოდ საჯარო ინტერესი და მსხვერპლის სასამართლოში „შეცვლილ“ პოზიციას, რომელიც განპირობებულია არაერთი უარყოფითი ფაქტორით, არ უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა მოძალადის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

### 5.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიმართ

პრეცედენტული სამართალი მნიშვნელოვანია კოორდინირებული და ყოვლისმომცველი რეაგირების საჭიროების გამოვლენისათვის და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განმტკიცებისათვის, რათა ეფექტურად მოახდინოს პრევენცია და ებრძოლოს გენდერულ ძალადობას.<sup>64</sup> ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებში, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნით ხაზგასმულია სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი მსხვერპლის დასაცავად და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ შორის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება გასახილველ საკითხს და მსხვერპლის სიცოცხლის უფლების დაცვას გახლავთ *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ, კონტროვა*

<sup>64</sup>Preventing da Combating domestic violence against women, a learning resource for training law enforcement da justice officers, Council of Europe, 2016, გვ21;

*სლოვაკეთის წინააღმდეგ, ბრანკო ტომაშიჩი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ, დურმაზი თურქეთის წინააღმდეგ, ცივეკი თურქეთის წინააღმდეგ, ჰალიმე კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ, ტალპისი იტალიის წინააღმდეგ*<sup>65</sup> - აღნიშნულ გადაწყვეტილებებში დარღვეულ იქნა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება - სახელმწიფომ დაიცვას ადამიანთა სიცოცხლის უფლება. საქმეში *ბრანკო ტომაშიჩი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ*, სასამართლოს განმარტავს, რომ „მე-2 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს გადადგას სათანადო ნაბიჯები მის იურისდიქციაში მყოფთა სიცოცხლის დასაცავად.“<sup>66</sup>ეს მოიცავს სახელმწიფოს უპირველეს ვალდებულებას დაიცვას სიცოცხლის უფლება ეფექტური სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უზრუნველყოფით, შეაჩეროს პირის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული სამართალდამცავი ორგანოების მიერ სამართალდარღვევების პრევენციით, აღკვეთითა და დასჯით.<sup>67</sup>

ევროპული სასამართლო ოჯახში ძალადობის მსხვერპლის განაცხადებს, როდესაც ის ეხება მოძალადე პირის მხრიდან ფიზიკურ ძალადობას, განიხილავს, როგორც წამებას და არაადამიანურ მოპყრობას, რომლის ფარგლებშიც ადგენს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევას კონვენციის მე-3 მუხლითანი მიმართებით (წამების აკრძალვა). „პოზიტიური ვალდებულება მოიცავს ორ ასპექტს: პირველი, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მის იურისდიქციაში მყოფი ინდივიდები არ დაექვემდებარონ არაადამიანურ მოპყრობას, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან ასევე კერძო პირებისაგან. მეორე, სახელმწიფოს მოეთხოვება ჩაატაროს ოფიციალური გამოძიება გონივრულ დროში.“<sup>68</sup> წამების აკრძალვის ფარგლებში ევროპულმა სასამართლომ - საქმეებში *ე.ს. და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ, ე.მ. რუმინეთის წინააღმდეგ, ვალიულიენე ლიტვის წინააღმდეგ, დ.მ.დ. რუმინეთის წინააღმდეგ, ერემია და სხვები მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ, მ.გ. თურქეთის წინააღმდეგ, ბალსანი რუმინეთის წინააღმდეგ*<sup>69</sup> - დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების დარღვევა, ვინაიდან სახელმწიფო სათანადოდ და დროულად ვერ უზრუნველყო მსხვერპლთა დაცვა მოძალადე ოჯახის წევრის მხრიდან მომდინარე არაადამიანური მოპყრობისა და წამებისაგან. ეს საქმეები მკაფიოდ ასახავენ სახელმწიფოს მარცხს ადამიანის უფლებათა დაცვასა და პატივისცემაში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დააწესა, რომ სახელმწიფოებმა არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავონ ძალადობრივი ქმედების განხორციელებისგან, არამედ დააკისრა პასუხისმგებლობა კერძო პირებს შორის მომხდარი ოჯახში ძალადობისათვის, იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ შეასრულებენ

<sup>65</sup>Opuz v. Turkey/№33401/02,27/06/2009, Kontrová v. Slovakia/№7510/04,31/05/2007, Branko Tomašić and Others v. Croatia/№46598/06,15/01/2009, Durmaz v. Turkey/№3621/07,13/11/2014, Civek v. Turkey/№55354/1, 23/02/2016, Halime Kilic v. Turkey/№63034/11, 28/06/2016, Talpis v. Italy/№41237/14,2/03/2017;

<sup>66</sup>L.C.B. v. the United Kingdom, 9 June 1998, Reports of Judgments and Decisions 1998-III, §36;

<sup>67</sup>Branko Tomašić and Others v. Croatia/№ 46598/06,15/01/2009, §49;

<sup>68</sup>Prosecuting hate crime, A practical guide, International Assosiation of Prosecutors, OSCE/ODHR 2014,2015, გვ 40-41;

<sup>69</sup>E.S. and Others v. Slovakia, /№8227/04, 15/09/2009, E. M. v. Romania/№43994/05,30/10/2012, Valiulien v. Lithuania/№33234/07,26/03/2013, Eremia and Others v. The Republic of Moldova/№3564/11, 28/05/2013, M.G. v. Turkey/№646/10, 22/03/2016, Bâlşan v. Romania/№49645/09, 27/05/2017, D.M.D. v. Romania,№23022/13,3/10/2017;

თავიანთ მოვალეობას ამგვარი დანაშაულის პრევენციასა და დასჯაში.<sup>70</sup> ამდენად, სახელმწიფოს მიერ ჯეროვნად უნდა განხორციელდეს ევროპული კონვენციით გარანტირებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულება, ოჯახში ძალადობის საქმეებზე მოახდინოს მყისიერი რეაგირება, ჩაატაროს ეფექტური გამოძიება და ეს პროცესი გაგრძელდეს სამართალწარმოების ბოლომდე, შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე.

### 5.3. მეორადი და ხელახალი ვიქტიმიზაციის საფრთხე

სისხლის სამართლის პოლიტიკაში არსებული ზოგადი ტენდენციის მიხედვით, ყურადღების ცენტრმა, გარკვეულწილად, დამნაშავიდან მსხვერპლზე გადაინაცვლა. ეს ცვლილება შეგვიძლია დავინახოთ კრიმინოლოგიაში, რომელიც მისი დაარსებიდან, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, მოყოლებული სწავლობდა კრიმინალებს და დამნაშავეობის განვითარებაზე გარემო ფაქტორების ზემოქმედებას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, ვიქტიმოლოგიის სახელით, მისი ინტერესისა და კვლევის საგნად იქცა მსხვერპლი.<sup>71</sup>

ოჯახში ძალადობის დაზარალებული მეორადი და ხელახალი ვიქტიმიზაციის საფრთხე შესაძლოა წარმოიშვას მაშინ, როდესაც სათანადოდ ვერ ხდება სახელმწიფო უწყებების ჩართულობა ან მსხვერპლი თავად არ გამოთქვამს მზაობას ითანამშრომლოს საგამოძიებო ორგანოსთან. ოჯახში ძალადობის ბუნებიდან გამომდინარე სავალდებულოა, რომ მსხვერპლი მაქსიმალურად იქნეს დაცული განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან.

მეორადი ვიქტიმიზაცია არის ვიქტიმიზაცია, რომელიც არა როგორც დანაშაულებრივი ქმედების პირდაპირი შედეგია, არამედ სახელმწიფო უწყებებისა და ინდივიდების არაადეკვატური რეაგირება მსხვერპლის მიმართ.<sup>72</sup> შესაძლოა მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაცია სამართალწარმოების პროცესში ჩართული პირების „არასახარბიელო“ მოქმედებებით განხორციელდეს. ე.წ. სტამბოლის კონვენცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაციის საკითხს, კერძოდ, მე-15 მუხლში ადგენს სპეციალისტების პროფესიული მომზადების საკითხს, კერძოდ სახელმწიფოებს აკისრებენ ვალდებულებას მოახდინონ იმ სპეციალისტების პროფესიული მომზადება, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ძალადობის მსხვერპლთან, რათა აღიკვეთოს მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაცია. ამდენად, სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებს მსხვერპლთან ურთიერთობისას მართებთ განსაკუთრებული ყურადღება. ამავე კონვენციის მე-18 მუხლი, სახელმწიფოს ავალდებულებს მხრიდან მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერისათვის, მიზნად დაისახოს მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება. სამართალწარმოების პროცესში ჩართული პირები

<sup>70</sup> Preventing and Combating domestic violence against women, a learning resource for training law enforcement and justice officers, Council of Europe, 2016, გვ. 21;

<sup>71</sup> ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 60;

<sup>72</sup> provision 15(c) of United Nations updated Model Strategies and Practical Measures on the Elimination of Violence against Women in the Field of Crime Prevention and Criminal Justice, General Assembly 65/228.;

[https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/Model Strategies and Practical Measures on the Elimination of Violence against Women in the Field of Crime Prevention and Criminal Justice.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/Model%20Strategies%20and%20Practical%20Measures%20on%20the%20Elimination%20of%20Violence%20against%20Women%20in%20the%20Field%20of%20Crime%20Prevention%20and%20Criminal%20Justice.pdf)



უნდა იქცეოდნენ გასაკუთრებული გულისხიმვრებით ძალადობის მსხვერპლების მიმართ, რათა ამ მათთვის გაუსაძლისი არ აღმოჩნდეს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა და საკუთარი უფლებების დაცვა. მნიშვნელოვანია ასევე ბრალდების მხარის როლი, „პროკურორები მსხვერპლებს უნდა მოექცნენ მოწიწებითა და პატივისცემით, რათა მართლმსაჯულების სისტემიდან აარიდონ „მეორადი ვიქტიმიზაცია“.<sup>73</sup>

მეორადი ვიქტიმიზაციის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულის დაკითხვისას. საქართველოს პროკურატურისა და სასამართლოსათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში დანაშაულების საქმეებზე ეფექტური და გენდერულად მგრძობიარე მართლმსაჯულების განხორციელება. ოჯახურ დანაშაულებზე დაზარალებულის ჩვენება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას. დაზარალებულის პირველივე დაკითხვა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ამომწურავი. დაკითხვის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია, მაქსიმალურად უნდა გამორიცხავდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაციის საფრთხეს. სასამართლო პროცესზე პროკურორმა და მოსამართლემ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ დაზარალებულის დაცვა ბრალდებულის ზეწოლისაგან, რაც განსაკუთრებით ხშირი და ადვილია, როდესაც საქმე ეხება ოჯახში წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას.<sup>74</sup>

პიროვნების მესამედ ვიქტიმირებას ადგილი აქვს, როდესაც დანაშაულის მსხვერპლს, პირველადი და მეორადი ვიქტიმირებიდან გამომდინარე აღარ სჯერა, რომ დაცული იქნება დანაშაულისაგან, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე ახლო სოციალური გარემოს მხრიდან; იგი საკუთარ თავს გარშემო მყოფთა მსხვერპლად მიიჩნევს და არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა. ამგვარი ადამიანები მიეკუთვნებიან დანაშაულის მსხვერპლის ისეთ კატეგორიას, რომელთან (რე)ვიქტიმიზაცია კიდევ არის ახლო მომავალში მოსალოდნელი.<sup>75</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაციისგან დაცვა სრულად არის დამოკიდებული სახელმწიფო უწყებების ეფექტურ და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე პირების პროფესიონალიზმზე, რომელთაც შეუძლიათ დაიცვან ნაკლები ზიანის მოტანით დაიცვან მსხვერპლის ინტერესები გამომძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე. დღეის მდგომარეობით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სრულად ვერ აწესრიგებს მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაციის საფრთხის თავიდან აცილებას, ვინაიდან სრულწლოვან დაზარალებულის დაკითხვას ესწრება თავად მოძალადე და არ არსებობს რაიმე სამართლებრივი მექანიზმი ბრალდებულის დროებით სასამართლო დარბაზიდან გაყვანის თაობაზე.

პიროვნების ვიქტიმირების თავიდან აცილების მიზნით შესაძლებელია, თუ განხორციელდება, „დაზარალებული ჩვენების ფორზე ჩაწერა, რომ მას აღარ მოუწიოს მრავალჯერ ჩვენების მიცემა (გაუპატიურების საქმეებზე), ბრალდებულის

<sup>73</sup>Handbook on effective prosecution responses to violence against women and girls; UNODC, Vienna, 2014; გვ. 44;

<sup>74</sup>საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, კვლევისა და ანალიზის ცენტრი, თბილისი, 2017 გვ. 68; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-standartebis-asaxva-ojaxshi-zaladobis-saqmeebshi.pdf>

<sup>75</sup>შალიკაშვილი მ. , ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის შესახებ, მერიდიანი, 2011, გვ. 33-34;

სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანა დაზარალებულის დაკითხვისას, სხვა სასამართლო დარბაზიდან დაზარალებულის დისტანციური დაკითხვა აუდიო-ვიდეო აპარატურის გამოყენებით.<sup>76</sup> მნიშვნელოვანია, რომ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, როდესაც საკითხი დგება დაზარალებულის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემის თაობაზე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ არც ერთ გარემოებას მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაციის ასარიდებლად. ამდენად, დაზარალებული იძულებულია მიუხედავად მისი ნებისა, სასამართლოში შეხვდეს მოძალადეს და მისი თანდასწრებით ისაუბროს ძალადობის ფაქტზე.

სამართალდამცავი და მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლები არიან მნიშვნელოვანი პარტნიორები, რათა ნებისმიერი ძალისხმევით ეფექტურად ებრძოლონ და აღკვეთონ ქალთა მიმართ ძალადობას. პროკურორების, მოსამართლეებისა და პოლიციის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად, გამოძიებასა და სასამართლო პროცესებში მონაწილე მსხვერპლის უსაფრთხოების დასაცავად.<sup>77</sup> ძალადობის მსხვერპლი შესაძლოა კვლავ გახდეს არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, თუ არ მოხდება მოძალადე პირის მხრიდან დანაშაულის აღკვეთა. ცხადია, ჩვენს ქვეყანაში ხელახალი ვიქტიმიზაციის არაერთი მაგალითი არსებობს, სადაც სამწუხაროდ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები მაინც ირჩევენ დუმლს და უარს აცხადებენ ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. ზემოთ განვიხილეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც მკაფიოდ ჩანს განმეორებითი ვიქტიმიზაციის ნათელი მაგალითები. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმეზე ვ.ჩ. საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 11<sup>1</sup>,151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წარდგენილ ბრალდებაში სრულად გამართლდა. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ჩადენისას ბრალდებული ვ.ჩ. უკვე იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ (იმავე დაზარალებულ ი.ნ.-ს, მეუღლის მიმართ განხორციელებული ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ჩადენისათვის) და დაზარალებული განმეორებით გახდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, მან სასამართლოს არ მისცა ბრალდებულის წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენება.<sup>78</sup> ანალოგიური განხორციელდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის განაჩენში, ბრალდებული ო.გ. 2018 წლის 26 ივლისის განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი მეუღლის ე.შ.-ს მიმართ განხორციელებულ ოჯახში ძალადობისათვის, მან მეუღლის ე.შ.-ს მიმართ 2019 წლის 6 თებერვალს კვლავ განახორციელა ფიზიკური ძალადობა და მას ბრალი წარედგინა საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ოჯახში ძალადობა, ჩადენილი არაერთგზის). საქმის არებითი განხილვის ეტაპზე დაზარალებულმა ე.შ.-მ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება (ამ უფლებით ისარგებლა

<sup>76</sup>შალიკაშვილიმ. , ვიქტიმოლოგია - მეცნიერებადანაშაულისშესახებ, მერიდიანი, 2011, გვ 34-36;

<sup>77</sup>Preventing da Combating domestic violence against women, a learning resource for training law enforcement da justice officers, Council of Europe, 2016;გვ 2;

<sup>78</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 მაისის №1/5310-18 განაჩენი;

პირველი საქმის განხვილსას), რაც საბოლოოდ გახდა პირის უდანაშაულოდ ცნობის საფუძველი.<sup>79</sup>

განხილულ გამამართლებელ განაჩენთა ანალიზი, რომლებიც შეეხებოდნენ ოჯახში ძალადობის საქმეებზე, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო მოძალადის დაუსჯელობის შესაძლებლობას, ცხადია გახლავთ მსხვერპლის ხელახალი ვიქტიმიზაციის გარდაუვალი წინაპირობა. პირი, რომელიც არ აგებს პასუხს მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის, ზრდის ახალი ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს, ვინაიდან ის უბრუნდება ცხოვრების ჩვეულ რიტმს და არ აქვს დაზარალებულთან ურთიერთობის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება.

## VIთავი. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ოჯახში ძალადობის საქმეებზე

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტატისტიკის როლი სისხლის სამართალში. აღსანიშნავია, რომ მას სოციალური მეცნიერებისაგან განსხვავებით, ფაქტობრივი რეალობის გარდა, აქვს კიდევ სხვა რეალობა და ესენია: დაწერილი კანონები, ნორმატიული აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც შედარებით დამოუკიდებლად არსებობს, რაც ყოველთვის ადეკვატურად არ ასახავს არსებულ ვითარებას. ემპირიული სამყაროს შეცნობა კი, შესაძლებელია რეალური ფაქტების საფუძველზე მიღებული გამოცდილებით და არა მხოლოდ ლოგიკური აზროვნებით. რეალობის შესწავლა კი, კვლევის სტატისტიკური და სოციოლოგიური მეთოდების დაუფლებას მოითხოვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალში სტატისტიკას აინტერესებს ამა თუ იმ საქმიანობის არა ნებისმიერი შედეგი, არამედ მხოლოდ ის, რაც ადასტურებს მოქმედი სამართლებრივი ნორმების დაცვას ან დარღვევას.<sup>80</sup>

ოჯახში ძალადობის მიმართ შეუწყნარებელ ბრძოლაზე მეტყველებს სამართალდამცავ უწყებათა დროული და ეფექტური რეაგირება, რომელიც მოცემულია არაერთი სახელმწიფო და არასამთავროპო უწყების მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკაში. მათ შორის, საქართველოს გენერალური პროკურატურის 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშში,<sup>81</sup> რომლის მიხედვითაც 2018 წელს ოჯახური დანაშაულის ჩადენის ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 955 პირის მიმართ, რაც გასულ წელთან მიმართებით 99%-იანი ზრდის მაჩვენებელია<sup>82</sup>. ამასთან, 2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 16 820 პირის მიმართ, საიდანაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შემდგომ

<sup>79</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის №1/1062-19 განაჩენი;

<sup>80</sup> გლოველი ე. , სტატისტიკის როლი სისხლის სამართალში, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N3(59), 2018 წ., გვ 96ლ

<sup>81</sup> <http://pog.gov.ge/res/docs/angarishi2018/generaluriprokuraturis2018wlsangarishi.pdf>

<sup>82</sup> იქვე, გვ 23;

დაფიქსირდა, საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლზე, დევნა დაიწყო - 2 720 პირის მიმართ, რაც საერთო წაროდენობის 12,8%-ს შეადგენს.<sup>83</sup>

საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ 2018 წელს საქართველო სსკ-ის 11<sup>1</sup> (პასუხისმგებლობა ოჯახური ძალადობისათვის) და 126<sup>1</sup> (ოჯახში ძალადობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მიხედვით განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 2 347 საქმე 2 384 პირის მიმართ,<sup>84</sup> აღნიშნული მონაცემი 2018 წლის განმავლობაში საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით დასრულებულ საქმეთა 16%-ზე მეტს შეადგენს,<sup>85</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოებში განაჩენის გამოტანით განხილულია 14 521 სისხლის სამართლის საქმე, რაც მიუთითებს სახელმწიფოს გამკაცრებულ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე ოჯახში ძალადობის დანაშაულთა მიმართ.

## დასკვნა

ნაშრომში მიზანი იყო ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების პრაქტიკული და თეორიული საკითხების განხილვა.

ნაშრომში განხილულ იქნა ოჯახში ძალადობის საქმეებზე მტკიცებულებათა მოპოვებისას საგამოძიებო ორგანოების განსაკუთრებული როლი. ეს დანაშაული მტკიცებულებების მოპოვების კუთხით არ არის მოცულობითი, თუმცა საჭიროებს გულმოდგინე მუშაობს და ნებისმიერი დაგვიანებული მოქმედება შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს საქმის საბოლოო შედეგისათვის.

წარმოდგენილი განაჩენების საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ არსებითი განხილვის ეტაპზე ბრალდების მხარე მტკიცებულებათა გამოკვლევისას აწყდება არაერთ პრობლემას, რომელიც მომდინაროებს ბრალდების მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, რომლებიც ძირითად შემთხვევაში არის მოწმეთა მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ან სასამართლოში ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი, რომელიც არსებითად ცვლის სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. ასევე, დაზარალებულის მიერ ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, უმრავლეს შემთხვევაში, ღირებულებას უკარგავს ბრალდების დასადასტურებლად არსებული მნიშვნელოვანი მტკიცებულებებს- ირიბ მოწმეს, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს და სხვ.

განხილული განაჩენების საფუძველზე ირკვევა, რომ მოსამართლეთა გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დაზარალებულის პოზიციას ოჯახში ძალადობასთან მიმართებით. მაშინ, როდესაც ის უარს აცხადებს სასამართლოში ჩვენების მიცემაზე, სასამართლო ზოგ შემთხვევაში პირდაპირ მიყვება დაზარალებულის ნებას და სხვა მტკიცებულებების გაზიარების გარეშე პირის მიმართ

<sup>83</sup>იქვე, გვ 4;

<sup>84</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის სტატისტიკა ოჯახში ძალადობის საქმეებზე, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ojaxuri-zaladoba.pdf>;

<sup>85</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის სტატისტიკური მონაცემები სისხლის სამართლის საქმის განხილვის შესახებ, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-statistic-3.pdf>;

გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. ამასთან, მოსამართლეთა გარკვეული ნაწილი დეტალურად აფასებს დაზარალებულის ჩვენების მიღმა არსებულ მტკიცებულებებს და მათი საკმარისობის შემთხვევაში გამოაქვს პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა ორივე ნაწილი იყენებს მტკიცებულებათა შეფასების, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტს- „გონივრულ ეჭვს მიღმა“. შესაბამისად გადაწყვეტილებათა სხვადასხვაობა ქმნის არაერთგვაროვან პრაქტიკას, რომელმაც შესაძლოა ავნოს სახელწიფოს საერთაშორისო კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებას - ებრძოლოს ოჯახში ძალადობას. აღნიშნული კი არის როგორც საგამომიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოების, ასევე სასამართლო სისტემის მოვალეობა. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გაზრდის არა მხოლოდ ოჯახში ძალადობის მაჩვენებელს, ასევე რიგ შემთხვევებში გამოიწვევს დაზარალებულის განმეორებითი ვიქტიმიზაციას.

ამასთანავე, სასამართლოს მხრიდან უნდა მოხდეს კრიტიკული შეფასება, მოწმის მიერ გამოძიების ეტაპზე გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებულ ინფორმაციასა და სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს შორის, უნდა დადგინდეს თუ რა გარემოება უდევს პირის მხრიდან „შეცვლილ“ ფაქტებს, რათა არ მოხდეს მოძალადე პირის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო დონეზე შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები, რომელიც შეცლის მიმდინარე მიდგომებს და გააუმჯობესებს ამ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმებს. ნაშრომში განვითარებული მსჯელობის მიხედვით, ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას მოსამართლეთა მხრიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულის ჩვენებას, რის გამოც ამ კუთხით უნდა დაიხვეწოს კანონმდებლობა. კერძოდ, სასამართლოში სრულწლოვან დაზარალებულთა და იმ მოწმეთა დაკითხვისას, რომელთაც აქვთ ბრალდებულთან მჭიდრო კავშირი, უნდა მოხდეს მოძალადე ბრალდებულის დროებით სხდომის დარბაზიდან გაყვანა. აღნიშნულით დაზარალებულის ავარიდებთ მეორად ვიქტიმიზაციას და გაიზრდებდა ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით მოწმეთა მიერ ჩვენების მიცემის შესაძლებლობა.

შესავალ ნაწილში მოცემული მიზნები, რომლებიც განხილულ იქნა წარმოდგენილ ნაშრომის ძირითად ნაწილში, ვფიქრობ, რომ მიღწეულია.

## ბიბლიოგრაფია:

### 1. სამეცნიერო ლიტერატურა

#### ა. ქართულენოვანი ლიტერატურა

1. შენგელია ს. , ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №2, თბ. , 2017;
2. ჯიმ მერდოკი, რაღვ რომე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საპოლიციო მომსახურება, ევროპის საბჭო, 2013;
3. კვაჭაძე მ. , ჯუღელი ნ. , ღვინჯილია ე. , საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №3(59), 2018;
4. საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, კვლევისა და ანალიზის ცენტრი, თბ. , 2017;
5. კოჭლამაზაშვილი ბ. , ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №2, თბ., 2017;
6. კვირიკაშვილი მ. , პროკურორის მიერ მოწმის მომზადება, სამართლის ჟურნალი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, №2, 2016წ.
7. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბ., 2015;
8. თევზაძე ლ. , დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი N4 (60), 2018;
9. მალაკელიძე ლ. , თუმანიშვილი გ. , არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი 1(53), 2017;
10. აქუბარდია ი. , შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, გერმანულ-ქართულის სისხლის სამართლის ჟურნალი, 2/2016;
11. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ 33;
12. აქუბარდია ი. , წინასაწარი გამოძიების ჩატარების საერთო პირობები, სისხლის სამართლის პროცესი, მერიდიანი, 2002;
13. აქუბარდია ი. , გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა, წიგნში: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, ავტ. ჯგუფი, მერიდიანი, თბ. , 2017;
14. შალიკაშვილი მ. , ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის შესახებ, მერიდიანი, 2011;
15. გაბრიჩიძე ნ. , საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლელობის გამოძიების მეთოდოლოგია, თბ. , 2015;

16. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009;
17. გლოველი ე. , სტატისტიკის როლი სისხლის სამართალში, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N3(59), 2018;

#### ა. უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Preventing da Combating domestic violence against women, a learning resource for training law enforcement da justice officers, Council of Europe,2016;
2. Handbook on effective prosecution responses to violence against women and girls;UNODC, Viena, 2014;
3. Prosecuting hate crime, A practical guide, International Assosiation of Prosecutors, OSCE/ODHR 2014,2015;
4. Convicting Domestic Violence Abusers When The Victim Remains Silent, Tonya McCorick, BYU J. Pub. L, 427 (2013);

#### 2. ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია (24.08.1995 წ.);
2. ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (4.11.1950 წ.);
3. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (11.05.2011 წ.);
4. საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ (4.12.2009 წ.);
5. საქართველოს კანონი საქართველო სისხლის სამართლის კოდექსი (22.07.1999 წ.);
6. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (09.10.2009 წ.);
7. საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (15.12.1984 წ.);
8. საქართველოს კანონი საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (15.12.2015 წ.);
9. საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ (04.10.2013);
10. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ (25.05.2006);

#### 3. სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის №253აპ.-15 განაჩენი;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 1 მაისი №614აპ.-17 განაჩენი;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 13 მარტის განაჩენი №1/723-19;
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 13 მარტის განაჩენი №1/723-19;
6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განაჩენი №1/1159-18;
7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 დეკემბრის განაჩენი №1/2490-18;
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 მაისის განაჩენი №1/380-19;
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 თებერვლის განაჩენი №1/4875-18;
10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი №1/3231-18;
11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის განაჩენი №1/4556-18;
12. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 ოქტომბრის განაჩენი №1/3820-18;
13. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 მაისის განაჩენი №1/5310-18
14. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის განაჩენი №1/1062-19;
15. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 7 მაისის განაჩენი №1/75-19;
16. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 8 ნოემბრის განაჩენი №1/5172-16;
17. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 ნოემბრის განაჩენი №18/1411-18;
18. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 3 აგვისტოს განაჩენი №1/192-18;
19. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის განაჩენი №1/209-18;
20. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის განაჩენი №1/474-19;
21. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი №1/3295-17;
22. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 ოქტომბრის განაჩენი №1/3820-18;

#### 4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. Opuz v. Turkey/№33401/02, 27/06/2009;
2. Kontrova v. Slovakia/№7510/04, 31/05/2007;
3. Tomašić and Others v. Croatia/№46598/06, 15/01/2009;
4. Durmaz v. Turkey, №3621/07, 13/11/2014;
5. Balsan v. Romania/№49645/09,27/05/2017;
6. Talpis v. Italy/№41237/14, 2/03/2017;



7. M.G v. Turkey/№646/10, 22/03/2016;
8. Halime Kilic v. Turkey/№63034/11, 28/06/2016;
9. Civek v. Turkey/№55354/1, 23/02/2016;
10. Eremia and Others v. The Republic of Moldova/№3564/11, 28/05/2013;
11. Bevasqua and S. v. Bulgaria/№71127/01, 12/09/2008;
12. Valiulienv. Lithuania/№33234/07, 26/03/2013;
13. E. M. v. Romania/№43994/05, 30/10/2012;
14. E.S. and Others v. Slovakia/№8227/04, 15/09/2009;
15. Barbera, Messegue, Jabardo v. Spain/№10590/93, 6/12/1988;
16. D.M.D. v. Romania/№23022/13,3/10/2017;

#### 5. ინტერნეტ წყაროები:

1. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ojaxuri-zaladoba.pdf>;
2. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-statistic-3.pdf>;
3. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-standartebis-asaxva-ojaxshi-zaladobis-saqmeebshi.pdf>;
4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4193064?publication=0#DOCUMENT>;
5. [https://tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/Samartlis%20Jurnali%202016.2.pdf](https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Samartlis%20Jurnali%202016.2.pdf);
6. <http://pog.gov.ge/res/docs/saqartvelosprokuratuisstrategia.pdf>[https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/Model Strategies and Practical Measures on the Elimination of Violence against Women in the Field of Crime Prevention and Criminal Justice.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/Model_Strategies_and_Practical_Measures_on_the_Elimination_of_Violence_against_Women_in_the_Field_of_Crime_Prevention_and_Criminal_Justice.pdf);
7. <http://www.dgstz.de/storage/documents/xANipn7d9monSqwAEtyMTmrGNSVfCx6JSjFQHnRW.pdf>;
8. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2018wn4.pdf>;
9. <http://pog.gov.ge/res/docs/angarishi2018/generaluriprokuratuis2018wlisangarishi.pdf>;